отоларингологические, невропатологические, психиатрические, дермато-венерологические заболевания (35%).

Для контингента больных, агрегированных в стационары системы здравоохранения СССР, наблюдается такая картина: 53% заболеваний входят в классы заболеваний повсеместного распространения, а 47% заболеваний — в классы слабо локализованных заболеваний.

В городских поселениях по территориальной сконцентрированности 65% специализации проявляют тенденцию к уменьшению, а 35% классов заболеваний — к увеличению.

В сельской местности картина следующая: тенденция к уменьшению территориальной сконцентрированности показывает 47%, а к увеличению — 53%.

По СССР в целом картина следующая: тенденция к уменьшению территориальной сконцентрированности показывает 77%, а к увеличению — 23%.

Картина распределения республик по степени отраслевой сконцентрированности выглядит следующим образом: по контингенту больных, направляемых из городской местности в стационары системы здравоохранения СССР, крайне диверсифицированной является Украинская ССР (7%), слабо диверсифицированной — Азербайджанская ССР (7%), сильно специализированной — РСФСР (6%), остальные двенадцать республик средней диверсификации (80%).

Для контингента больных из сельской местности картина следующая: Казахская, Грузинская, Литовская и Туркменская ССР — крайне диверсифицированные (27%), РСФСР — сильно специализированная (7%), республик слабой диверсификации нет, а остальные девять республик являются республиками средней диверсификации (66%).

И наконец, для общего контингента больных Азербайджанская ССР (7%) и РСФСР (7%) являются республиками соответственно слабой диверсификации и сильной специализации. Шесть республик (40%) — Украинская, Белорусская, Казахская, Грузинская, Литовская и Латвийская ССР — это республики крайней диверсификации, остальные семь республик (46%) средней диверсификации.

Изложенные в работе результаты являются обобщением первого этапа исследований по применению методов регионального анализа для исследований процессов, происходящих в системе здравоохранения СССР.

По-видимому, следующий этап этих исследований — изучение в территориально-отраслевом разрезе более широкого круга экономических показателей, более подробное изучение экономико-социальных факторов, являющихся причинами сдвигов территориально-отраслевой структуры этих показателей, и изучение динамики более тонких территориально-отраслевых показателей по сравнению с коэффициентами локализации и специализации.

Тбилисский государственный университет

(Поступило 30.12.1982)

© Тбилисский Университет

А. СИХАРУЛИДЗЕ

სსრბ ჯანდაცვის სისტემაზე გამავალ ავადმყოფთა კონტინგენტის
რეგიონალურ-დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა

რეზიუმე

გამოკვლევა შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს და დაკონკრეტოს სსრ ჯანდაცვის სისტემის განვითარების კანონზომიერებას. გამოკვლევის შეღები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სსრ ჯანდაცვის სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულების ანალიზისა და პროგნოზირებისათვის.

A. K. SIKHARULIDZE

THE REGIONAL-BRANCH DYNAMICS OF THE STRUCTURE OF THE PATIENTS CONTINGENT PASSING THROUGH THE PUBLIC HEALTH CARE SYSTEM IN THE USSR

Summary

The study carried out by the author permits the identification and concretization of the regularities of development of the USSR public health care system. The findings may be used in the analysis and prediction of the main line of development of the USSR system of public health care.

СОДЕРЖАНИЕ — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Б. В. Петровский. Плановое хозяйство, № 1, 1973.
2. У. Изард. Методы регионального анализа. М., 1966.
3. М. Н. Кадиров, Л. Э. Миндели, А. К. Сихарулидзе. Структура квалифицированных медицинских кадров в системе здравоохранения СССР за 1971—1977 гг. и ее прогноз. М., 1979.



გ. გურაშვილი

ბრძანებითი პირველი პირისა ლაპურში

(წარმოადგინა აკადემიისმა არ. ჩიქობავამ 23.12.1982)

პირველი პირის ბრძანებითი ლაპურში, როგორც ეს საზოგადოდაა, დასტურდება მხოლოდ მრ. რიცხვში! (1:

ბურლილ ფარჩა ბუცან ყასთ ლაპინ-ნუ-ჩა „მზის ნაჭრის მოგლეჭა ვცა-დო!“ ([2], გვ. 26)... აჩუ, უაპილ, აჩუ, ტურქუ ბან-ნუ-ჩა „მოდი, ჭელო; მოდი, ვითამაშოთ!“ (ზედმიწ. „თამაშობა ვქნათ, შევეჭიბროთ!“) ([2], გვ. 26) ...ლაჩინდალულ ქურთი ბუქან ბან-ნუ-ჩა „შევარდნის ბუდეების ჩამოსალებად წავიდეთ!“ ([2], გვ. 103)...

სპეციალურ ლიტერატურაში ამ რიგის ნიმუშები მიჩნეულია ნატვრითი კილოს მრ. რ. I პირის ფორმებად ([3], გვ. 98), რაც არაა მართებული: ნატვრითი კილო ლაპურში პირთა მიხედვით არაა დიფერენცირებული. მაგალითად:

ნა ზაჟა იკლან-და-ჟ „ღმერთო, მე შინ მამყოფე!“ ([4], გვ. 110)... ქაქიან ნასივ ბან-ნა-ჟ „ნეტავ, ნახვა დაგვებედებოდეს!“... ქა ბაყინ-ნა-ჟ „ნეტავ, ხელიც მოგემართოს!“... ინა ზანნალ კუნ პნ-და-ჟ „დაე, ღმერთმა შენ აღგამოლოს!“ ([4], გვ. 153) ... წულლუ ხუნ-ნა-ჟ „დაე, გაუმარჯოს!“ (ზედმიწ. „დაე, ჯანმრთელი გაბდეს!“) ... ვილ ვილახთავ ცაცაც ხაშხაბ-ნა-ჟ „დაე, დაისოცნ შენები!“ (ზედმიწ. „შენს კერაში გაიზარდოს ასკილი!“) ...

ნათელია, სამსავე პირში ერთი და იგივე დაბოლოებაა: ნა(ჟ), -და(ჟ). ორივესათვის ამოსავალია *-რა(ჟ)⁽²⁾, რომელსაც ღუმუშერი ტიპის თქმებში (resp. სამწერლობო ენაში) ასიმილაციით წინამავალ-ნ-სთან მოუცია -ნა(ჟ), ხოლო ვიცხიური ტიპისაში დისიმილაციით — -და(ჟ).

თვით ნატვრითი კილოს აღნიშული ფორმები კი სხვა არაფერია, თუ არა მყოფადი კატეგორიულის (მყოფადი III) I 3. ფორმა მხ. რიცხვში + ნატვრითობის -ჟ—*-ბ—*-ვ მორფება ([5], გვ. 216).

მყოფად მესამეს დღეს II და III პირში საკუთარი ფორმები არ გააჩნია, რაიც გარევეულ კაცირშია ამ ნაკვთით გაღმოცემულ ფორმათა შინაარსთან — ისინი შინაარსის თვალსაზრისით კატეგორიულია. ამიტომაა, რომ პ. უსლარი სათანადო საილუსტრაციო მასალას ასე განმარტავს: „ვამზობ მტკიცედ“ ([4], გვ. 92). ეს მტკიცედ თქმა, კატეგორიულობა კი სწორედ ბრძანებითის დამახასიათებელია. ამდენად უდგება კიდეც შინაარსის მიხედვით მყო-

(1) ქართულში, მართალია ძალზე იშვიათად, მაგრამ მანეც, ბრძანებითის პირველი პირის ფორმა გვხვდება მხ. რიცხვშიც: „ნუ დავიმარს ჩემსა მამულში, ჩემთა წინაარს საფლავებს შორის!“ („მერანი“). როგორც ამის თაობაზე შენიშვნენ, ეს „იმით აიხსნება, რომ ფორმა ვნებითია და მოქმედება რეალურად სხვების უნდა შეასრულონ“ ([1], გვ. 208).

(2) რომელშიც *-რა წარმოშობით ფინიტური მნიშვნელობის დეტერმინატორი დამუშავდება ([5], გვ. 216; [6], გვ. 199).

(3) V — ხმოვანი.



ფალი მესამე ბრძანებითს ([5], გვ. 215). მართლაც, ლაპური ჰითან-ჩე „შევსამთ“ რიგის ფორმა გაბმულ მეტყველებაში ინტონაციითაც აშკარად იხსება ბრძანებითისაკენ⁽¹⁾.

ასე რომ, ბრძანებითი პირველი პირისა მრ. რიცხვში იყენებს მუოფადი III სათანადო პირის მზა ფორმას, რომელსაც დაერთვის მოდალობის -ჩა ნაწილაკი⁽²⁾, რაც ქმნის კიდეც აღნიშნულ ფორმათა შორის სხვაობას:

მუოფადი III

- ბ-იყ-ა-ნ-ნუ „ვიწნებით“
- ბა-აჩ-ინ-ნუ „წავალთ“
- ჩიჩ-ინ-ნუ „დავწერთ“
- ბ-უქ-ი-ა-ნ-ნუ „შევჭამთ“

ბრძანებითი პირველი პირისა

- ბ-იყ-ა-ნ-ნუ-ჩა „ვიყოთ!“
- ბა-აჩ-ინ-ნუ-ჩა „წავიდეთ!“
- ჩიჩ-ინ-ნუ-ჩა „დავწეროთ!“
- ბ-უქ-ი-ა-ნ-ნუ-ჩა „შევჭამოთ!“

ბრძანებითის მნიშვნელობით აღნიშნულ ფორმათა გამოყენება მეორეულია; ბრძანებითი უსესხებია ეს ფორმები მუოფადი კატეგორიულისაგან და არა — პირუკუ. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს შემდეგიდანაც:

1. ბრძანებითის პირველი პირის ფორმებში საერთოდ არ ჩანს ბრძანებითში გამოვლენილი გარდამავლობა-გარდაუვალობის ნიშნები;
2. უარყოფითი ბრძანებითი (ე. წ. აკრძალვითი) ლაპურში მეორე და მესამე პირში (ორსავე რიცხვში) მა-||-მა- მორფემით იწარმოება, როცა პირველი პირის ბრძანებითში ჭა-||-ჭა- აფიქსია, რაც, საზოგადოდ, არაბრძანებითის ფორმებისათვისაა ნიშანდობლივი.

3. მეორე და მესამე პირის ბრძანებითში ერთი ფუძეა გამოყენებული, პირველში — სხვა:

ბ-იყ-ი||ბ-იყ-ი-ჩარა „იყოთ!“ — ბ-იყ-ი-ჩა „იყონ!“
შდრ.: ბ-იყ-ა-ნ-ნუ-ჩა „ვიყოთ!“

რაც შეეხება ბრძანებითის პირველ პირში წარმოჩენილ -ჩა ნაწილაკს, იგი წარმომადგენილი იყოვე უნდა იყოს, რაცა გვაქვს ბრძანებითის მესამე პირის -ჩა დაბოლოების სახით წარმოდგენილი:

იზ-უ (ბ-, დ-), „ადექ!“	იზ-ტ-ჩა (ბ-, დ-), „ადგეს!“
ჩიჩ-ა „დაწერე!“	ჩიჩ-ტ-ჩა „დაწეროს!“
ლას-ი „აიღე!“, „იყიდე!“	ლას-ტ-ჩა „აიღოს!“, „იყიდოს!“

ოღონდ, -ჩა, რომელის ბრძანებითის პირველ პირში წარმოჩნდება ჩინ „თქმა“ ზმინის ბრძანებითის ფორმას წარმოადგენს (ჩ-ინ→-ჩა-ა), როცა მესამე პირის -ჩა დაბოლოება უჩინ „თქმა“ ზმინის ბრძანებითი ფორმის მოკვეცილი სახეა (უჩ-ინ→უჩ-ა→-ჩ-ა)⁽³⁾. ამიტომაცაა, რომ ბრძანებითის პირველი პირის მრ. რიცხვში წარმოდგენილი -ჩა ნაწილაკის წინ ხმოვანი არ გრძელდება.

(1) ლაპურ სუფრაზე საღებერქელოს დასაწყისია: ვა ბაქალ ნა ჰითხით შევსეამ... ხშირია, აგრეთვე: ჰითან-ნუ „შევსეამთ“... გეხდება სათანადო დოურატიული ფორმაც: და, იზუ, ჰითან-ლა-ნუ წანა ტუტულ ჰითან „ეი, შენ, ადექ, შევსეამთ (ახლა) ლვინოს“ ([7], გვ. 97).

(2) „რალა“, „ბარემი“, „ხომ“ მნიშვნელობით, ეს -ჩა შედის აგრეთვე სხვა მორფემათა შემადგენლობაშიც: -ჩ-ჩა „თუ“, -ჩ-ჩ „აბა, აბა ერთი“ „რალა“, -ჩა-გუ „თუნდაც“... ([8], გვ. 750).

(3) ორივესათვის ამოსავალი *-ჯა ვარიანტია ([8], გვ. 751).



როცა III პირის -ჩა (←უჩა-ა) მორფემის წინ ხმოვანი უსათუოდ გრძელი ასო ([8], გვ. 751).

ის, რომ ბრძანებითი პირველი პირისა მრ. რიცხვში იყენებს სხვა კილოს ფორმებს, არაა უჩვეულო, პირიქით, ასეა ეს რიგს მონათესავე ენაში!.

ზემოთ ვნახეთ, რომ მყოფად III და ნატვრითი კილოს საერთო ფორმები აღმოაჩნდათ; საერთო ბრძანებითი კილოს პირველი პირისა და მყოფადი კატეგორიულის სათანადო ფორმები მრ. რიცხვში. სქემატურად:

მყოფ. III. ზმნის ძირი + ინფინ. ნიშანი + -ნუ (←*-რუ ←*-რა)

ბრძან. I პ.: „ + „ + -ნუ (←*-რუ ←*-რა) + -ჩა

ნატვრ. კილო: „ + „ + -ნა, -და (←*-რა) + უ

მაშასადამე, სამსავე შემთხვევაში გამოყენებულია ერთი და იგივე საწარმოებელი ფუძე + *-რა დაბოლოება — წარმოშობით ფინიტური მნიშვნელობის დეტერმინატიული ელემენტი.

ნატვრითი კილოსა და მყოფადი მესამის I პირის (მმ. ჩ.) ფორმათა იდენტურობა, ერთი მხრივ, მყოფადი კატეგორიულის მზა ფორმის გამოყენება ბრძანებითი კილოს I პირში, მეორე მხრივ, არ დგას განცალკევებით. მაგალითად, სპეციალურ ლიტერატურაში მიუთიერებენ, რომ „ბრძანებითი კილო დარგულში იწარმოება ნატვრითი კილოს ფორმებზე -ა, -ა, -ი, -ენ ფორმანტთაგან ერთ-ერთის დართვით ([11], გვ. 515).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

(შემოვიდა 24.12.1982)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

Г. Т. БУРЧУЛАДЗЕ

ИМПЕРАТИВНЫЕ ФОРМЫ ПЕРВОГО ЛИЦА В ЛАКСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

1. Императивные формы первого лица в лакском языке, как и в других языках, представлены лишь в мн. числе. Они образуются от форм будущего категорического (будущего III) при помощи частицы -ча:

Буд. III

Императив I л.

b-ičo-an-ni „будем“ b-ičo-an-ni-ča „давай, будем!“

čič-in-ni „напишем“ čič-in-ni-ča „давай, напишем!“

2. Императивные формы III л. в лакском языке образуются при помощи частицы -ча:

iz-u „встань!“ — iz-ū-ča „пусть встанет!“

čič-a „напиши!“ čič-ā-ča „пусть напишет!“

3. -ча в качестве окончания III л. и -ча в роли модальной частицы восходят к формам императива, реально существующих дублетных

(1) მაგალითად, ქართველურ ენათაგან ქართულსა და ზანურზი ბრძანებითის პირველი პირი (მმ. ჩ.) კატეგორიებითი მეორებისაგანაა ნაწარმოები ([9], გვ. 117); ანალოგოური სურათია სვანურზი ([10], გვ. 168).

форм одного и того же глагольного корня со значением «сказать» ([8]; в частности:

č-in „сказать“ → -č-a (в роли модальной частицы)
 uč-in „сказать“ → uč-a → -č-a (в роли морфемы III л.).⁽¹⁾

LINGUISTICS

G. T. BURCHULADZE

THE 1st PERSON IMPERATIVE FORMS IN LAK

S u m m a r y

1. The 1st person imperative in Lak, like other languages, occurs only in the plural. These forms are derived from the future categorical tense (future III) by means of the particle -ča:

Future III

b-ičo-an-nu “we shall be”
 čič-in-nu “we shall write”

Imperative

b-ičo-an-nu-ča “let us be!”
 čič-in-nu-ča “let us write!”

2. The same particle -ča is used in Lak to form the 3rd person imperative forms;

iz-u “stand up!”
 čič-a “write!”

iz-ū-ča “that he stand up!”
 cic-ā-ča “that he write!”

3. The -ča as the 3rd person suffix and the -ča as a modal particle go back to the imperative of the documented doublet forms of the verbal stem denoting “to say”, namely;

č-in “to say” → -č-a (as a modal particle)
 uč-in “to say” → uč-a → -č-a (as a 3rd person morpheme).⁽¹⁾

ლიტერატურა — REFERENCES

1. ა. ზაბიდე. თხზულებები, III. თბილისი, 1980.
2. Лакрал лахъи балайрду. Махачкала, 1969.
3. Л. И. Жирков. Лакский язык. М., 1955.
4. П. К. Услар. Лакский язык. Тифлис, 1890.
5. Г. Т. Бурчуладзе. იკნ, VI, 1979.
6. Г. Т. Бурчуладзе. იკნ, VIII, 1981.
7. Ольмар Хайям. Рубайрду. Махачкала, 1973.
8. გ. ბურჭულაძე. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 93, № 3, 1979.
9. არჩ. ჩიქობავა. ჭანურის გრამატიკული ანალიზი. თბილისი, 1936.
10. ვ. თოვლია. შრომები, I. თბილისი, 1967.
11. З. Г. Абдуллаев. Языки народов СССР. IV. Иберийско-кавказские языки. М., 1967.

⁽¹⁾ Исходной для обеих форм является морфема *-ka ([8], с. 751).

⁽¹⁾ The original form of both examples is *-ka ([8], p. 751).

პ. ცხადაშვილი

ერთი საერთო ხმაბაძვითი ზონური ძირი ჩართველურ ენეგზი

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. შარაძენიძემ 14.1.1983)

ქართველური ენეგზისათვის უცხო არ არის აქცესური კომპლექსის მოდელი — ხშული + ნაპრალოგანი. ასეთია მაგ., გზ, ქს, ქშ, კს კომპლექსები. პოსტერიული ხშულის შესაძლებლობათაგან ქართულში მხოლოდ ნაწილია დადასტურებული: გზ-გზ, ქს-ქსნ, ქსვ, ქშ, -ხს-ხსნ, ხშ-ხშვ, კს ([1], გვ. 22—23). ამათგან ჩვენი მსჯელობის საგანია გზ კომპლექსის შემცველი ერთი ზმნური ძირი, რომელიც ქართულში ორი ვარიანტით გვხვდება: უხმოვნოდ (გზ) და განმოვანებული ვარიანტით.

უხმოვნო (ნულვანი): გზ: ა-გზ-ებ-ა, ალ-ე-გზ-ნ-ო, სა-გზ-ებ-ელ-ი.

სრული ვარიანტი: ა) გიზ გიზ, ბ) გუზ გუზ.

ქართული გზ ძირი უხმოვნო ვარიანტითაა წარმოდგენილი მეგრულ-ჭანურში: ჭან. გზ-: ქოდო-გზ-უ „დანოება ცეცხლისა“. მეგრ. რზ: ქოდა-რზ-უ. ძირეული გზ მეორდება ქართულსა და ჭანურში, მეგრულში მის ადგილს იქტერს რზ-; ართა შენულში ამ ძირს -ზ- აკლია, გ- შეცვლილია ჭ-თი: ქოდობოჭი, ქოდოვოჭუ... ახალ ქართულში გზ ება-ს ნაცვლად ნოება იხმარება.

ქველ ქართულში ნათ ფუძის პარალელურად გზ-ე ბ ფუძეც იხმარებოდა, მაგრამ უფრო ვიწრო მნიშვნელობით (აღა გზ ნო ცეცხლი...). ქველ ქართულში გვხვდება გზ ძირიდან ნაწარმოები ფორმები გზ ე ბ ა, გზ ნე ბ ა, რაც სულხან-საბას განმარტებით ცეცხლის ანოებას ნიშნავს. ასეთსავე განმარტებას იძლევა ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ც [2]. ი. აბულაძის მიხედვით დანოება — „ალტყინება“ ([3], გვ. 93) ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მხოლოდ ნარიანი ფორმებია დამოშებული: ა გ ზ ნ ე ბ ს, ა გ ზ ნ ე ბ ა, ა გ ზ ნ ე ბ ა დ ი, ა გ ზ ნ ე ბ ა დ ო ბ ა, ა გ ზ ნ ე ბ უ ლ ი, ა გ ზ ნ ი ა. გიზ გიზ და სა გ ზ ე-ბ ე ლ სიტყვები „გზებაში“ ნარის გამოგვაყოფინებს. პირველი სერიის ნაკვთებში გამოყოფილი -ებ, -ობ, -ევ, -ამ, -ემ და სხვა სუფიქსების მსგავსად, მეორე სერიაშიც იჩენს თავს. მაგ. -ენ (ალვა-გზ-ენ), შდრ. ალ-გზ-ებ-ს), -ენ სუფიქსი გამოვლინდება მესამე სერიაშიც: ალმიზნია ([4], გვ. 29). ქველ ქართულში გვხვდება უნარო გზ ე ბ ა ფორმაც. ცხადია, გზ ნე ბ ა შ ი ნარი მეორეულია. ნარიანი ფორმა გვაქვს ზმნაშიც და ნაზმნარ სახელებშიც.

და კნინისა საქმისათვს ა ღ ე გ ზ ნ ი ს იგი მრავლის მეტყუელებად (სწავლ. 239, .24—25); ე გ ზ ნ ე ბ ო დ ა ალსლებისათვს ლავრად (კიმ. I. 21, 1); ბრძანა ა გ ზ ნ ე ბ ა დ ა ცეცხლისა დიდისა (წარტყ. ლთ. 24—25); და ურმისთუალნი ეტლთა მისთანი ცეცხლ მ გ ზ ნ ე ბ ა რ ე (შატბ. 276, 13); უფრო ხშირია უნარო ფორმები:

...თივად ველისა ხვალე თორნესა შთა ე გ ზ ე ბ ი ს (სწავლ. 191, 28—29); არა ა გ ზ ე ბ დ ა... რისხევასა მისსა (ფსალმ. 208 ც 38); ე გ ზ ე ბ ო დ ა (მაყუალი) და არა შეიწურებოდა (სინ. 204, 26; იხ. ასევე: სწავლ. 37, 17—18). ცეცხლებრ ე გ ზ ე ბ დ ა შინაგან მისსა (აგიოგრ. III. 111, 27, R-შია: ე გ ზ ნ ე ბ დ ა); ელიახე სახედ შურითა სამრთომთა ე გ ზ ე ბ დ ა დ ე თ (სას. პ. მტბევ. VI, 127—128); გნებავსა ჩემდა გ ზ ე ბ ა დ საკუმილი აბანოსად? (საქმ. და სწ.



ოვ. 58, 35—36; იხ. ეტ. III, 191, 21—22); და არა საკმარ არს მუწ შემდევ საგზე ბელად (სწავლ. 130, 15); ... უკანასესკნელ ცეცხლი აღგზე ბული დასწუვიდეს (შატბ. 262, 11—12; იხ. ასევე: სინ. 204, 26); და იოვანე განაწესა მგზე ბელად და მე მბანელად (საქმ. და სწ. იოვ. 59, 1—2); კაცი მტყუვარი მარადის მაგზე ბელად არს ძმათა შორის შფოთისა და ლალვისა (სწავლ. 241, 31—32);

ახალ ქართულშიც გზ ზმნური ძირი ხან ნარითა გართულებული, ხანაც უნარო ფორმით გვხვდება. მაგ.

ნარიანი ფორმა: გულს აბელებრ აღმიგზნებენ (ა. ჭავჭავი); აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა და აღმიგზნებს იმედს გულში (ი. ჭავჭავი).

უნარო გზ ძირი გვხვდება „ვისრამიანში“:

და გული თვით მისგანვე დანაგზებსა სახუმილსა შეგან ეგზებოდა და კისრ. 348, 21); ლაშქართა წინა დიდი ცეცხლი დაუგზია (კისრ. 345, 2).

გზ ძირში ის ხმოვანიცა, როცა იგი გაორკეცებულია გიზგიზ.

დადიანების სასახლის დიდ ბუხარში ცეცხლი გიზგიზე ბდა (ექ. ჭავჭავი); ოთხსავ კუთხით გიზგიზე ბდა ალისფერი მიხაკი (ლაფიტი); მივა შინ, შუქს აანთებს, ცეცხლს ააგიზ გიზგიზე ბს (ლონქ.); ცეცხლი აგიზ გიზგიზ და კვამლიც გაქრა (გ. კეჭი); ო, მოგიზ გიზგიზ სიხარულო, მე ვანთებ შენთვის წმინდა კელაბტარს (ა. კალ.).

გზ ზმნური ძირის მეორე გახმოვანებული ვარიანტია გუზ, რომელიც ძველი ქართული ენის ძეგლებშიც დასტურდება მუგზა სიტყვაში, სადაც გამოიყოფა მუ თავსართი და გუზ ზმნური ძირი:

და ნუცა სული შენი მოუქმურდებინ ორთა მაოგან შეშათა მუ გუზთა მკუმოლვარეთა (ესაია 7, 4); და ყოვლისა მის კუდებსა გამოაბმიდა) მუ გუზებსა (შატბ. 126, 8). განვაღიდნე მუ გუზნი და აღვაგზნა ცეცხლი (ეზექ. 7, 89, 20).

ამ უკანასკნელ საილუსტრაციო მაგალითში დამოწმებული „მუგუზნი“ ფორმის შესახებ თ. ცეიტიშვილი შენიშნავს: ეს ლექსება ფუძის დეტერმინანტი - ალ სუფიქსის გარეშეა წარმოდგენილი. მუგუზი — ბჯლის მუგუზალი, ხის მსვილი ნაკერი ცეცხლში ჩატებული ([5], გვ. 369).

ნ. ჩუბინაშვილს თავის ლექსიკონში მოჰყავს გუზ ძირის შეცველი სხვა სიტყვები: მუ გუზალი, ნაგუზალი, რაც ასეა განმარტებული: ნამწვა შეშა ცეცხლმოკიდებული главня, головня, головняшка [2]. გუზ ძირი გვაქვს გურულშიც ნიგუზარ სიტყვაში [6]. გ. შარაშიძე იმავე კილოში ნიგუზალ ფორმასაც იმოწმებს [7]. იმერულში ჩვეულებრივ იხმარება ნიგუზალ//ნიგუზარ, ნაგუზალ ფორმები [8]. აჭარულში ნაგუზალ ფორმა გვაქვს [9], ქიზიყურში კი მუ გუზალი (ასევე მუ გუზურ) [10]. შედრ. მუ-გუზურ რ-ი (რაც ნიშნავს მუგუზალს, რომელშიც გამოიყოფა მუ-უ რ (!) აფიქსები:

წაიღო ცერამ მამასთან ერთი მუ გუზური [11]; ი. ჭყონიას „სიტყვის კონაში“ ნიგუზურ ფორმაც დასტურდება [12].

შე გუზალ, ნიგუზარ//ნიგუზალ, ნაგუზალ სიტყვები მეტნაკლებად დამახასიათებელია თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენისათვის. მაგ.,

მუ-გუზ-ალ-ი: ჯოჯოხეთს კიდევ ერთი მუ გუზალი მიემატა (გ. ლეონ.); თითო ნაკვერჩხლიანი მუ გუზალი წაიძღვანიეს (ს. ქეთ.); ჯონდომ მუ გუზალს დაავლო ხელი (გ. დავლ.); თითოეულ მათგანზე მუგუზლებს დააწყობ-

და (რ. ჯაფ.); მთელ ჩემს ცხოვრებას ჯოჯოხეთის მუგუზზებით ამიცეთ შეძლო (ბან.).

ნი-გუზ-არ-ი: მზად იყო ნიგუზზარი ესროლა (გ. ლეონ.).

ნი-გუზ-ალ-ი: წამოსლის ხანს ნიგუზზალი იშონა საცხა (ქს. სიხ.). შდრ. ნიკაპი, სადაც ნი ელემენტი ნიგუზზარისეული ნი თავსართის ერთი და იგივე ოდენობა უნდა იყოს. **ნა-გუზ-ალ-ი:** ყოველს წამში ნაგუზლებს უჩხივინებენ (ა. ჭ. XI. 68, 15).

გუზ (ისევე როგორც გოზ) ზმნური ძირი ქართულში შეიძლება რელუპლი-ცირებულიც იყოს. **გუზ-გუზ-ი:**

იქ, თონეში ცეცხლი გუზგუზებდა (გ. ფანქ.). ტფილის გუზგუზი გაქვინდა (ა. ჭ. X. 298, 17); საღამოს რომ შეუზიზინებ ცეცხლს, გათენებამდის გააქვს გუზგუზი (ა. ჭ. X. 79, 24—25);

აღსანიშნავია, რომ გუზ ძირი ქართულში გოზ ვარიანტითაც გვხვდება:

ადგენ, რქები გამოართვეს ხელებიდან და მის მაგიერ ნიგოზალი მიცეს ხელში (ქს. სიხ.); რომ გაეღვიძა, ხედავს, რომ რქების მაგიერ უჭირავს ნიგოზალი იგივეა, რაც ნიგუზალი, მუგუზალი. [11].

საინტერესოა, რომ ეგვევ ძირი გვაქვს დაცული სვანურშიც, ოღონდ გუზის ნაცვლად -**ღუზ** ფორმით:

ლიღუზე „გაღვივება“. ბალსქევმოურში გუზ ძირი გვაქვს: ლიგუზე „ცეცხლის წაკიდება“ (მუგუზალს სვანურში ბალსქევმოურად „ლაკვანის რის“ ჰქვია).

ღუზ ძირს გაორკეცებული ფორმით ხმარობს მუხრან მაჭავარიანი: შენი რხახი, სადაც ღუზებს ბორზის ცეცხლი მარადი. ცხადია, აქ საქმე გვაქვს //ღ მონაცვლეობასთან.

//ღ მონაცვლეობა ქართულში სხვა სიტყვებშიც შეიმჩნევა მაგ., გინგლი// ღინღლი ([13], გვ. 81):

ეს სევდა გვაკაუებდა მაშინაც, ულვაშის გინგლი რომ ღაგვეტყო (გ. ლეონ.); შდრ. ღინღლი: „ჭერე ღინღლი არ ამოსვლია საულაშეზე და მაგე რას მიზამს (ჩვენი მასალ).“

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: **გზ** ხმაბაძეოთი ზმნური ძირი ქართველურ ენებში ორი ვარიანტითა წარმოდგენილი: ხმოვნიანი (გუზ, ღუზ, გოზ, გოზ) და უხმოვნოდ (გზ). ამ უკანასკნელისაგან იწარმოება ზმნური და ნაზმნარი ფორმები, ხოლო გუზ//გოზ ძირისაგან მოსალოდნელი *აგუზებს (→აგზებს), *აგიზებს (→აგზებს) ფორმების ნაცვლად გვაქვს ფუძე-გაორკეცებული ზმნური ფორმები როგორც ძეველ, ისე ახალ ქართულში.

დასაშვებია **გზ** ძირი ა გახმოვანებითაც: გაზ-ება→გზ-ება, გაზ-ენა→გზ-ნა... რაც შეეხება სვანურ ლილუზეს, ვფიქრობთ, გრძელი უს არსებობა აღნათ ასე წარმოიდგინება: გუზგუზ→*გუგუზ→გუუზ→გუზ. ასე რომ სვანური ღუზ ძირი ქართულიდან შესული უნდა იყოს სვანურში. მ. მაჭავარიანისეული ღუზლუზებს (ეს ფორმა იმერულშიც გვხვდება!) ისეა ნაწარმოები, როგორც გუზგუზებს. ამრიგად, გუზ→ღუზ, გუზ//გიზ→გზ→გზნ. აღსანიშნავია, რომ გზ//გუზ//ღუზ//გიზ ზმნური ძირისაგან ნაწარმოები სიტყვები სემანტიკურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ისინი ქართველურ ენებში ერთი მნიშვნელობის შემცველნი არიან (მათი მნიშვნელობებია: ცეცხლის გაღვივება, ცეცხლის წაკიდება, ღანთება).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Б. А. ЦХАДАДЗЕ

ОБ ОДНОМ ОБЩЕМ ЗВУКОПОДРАЖАТЕЛЬНОМ ГЛАГОЛЬНОМ КОРНЕ В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

В картвельских языках глагольный корень gz представлен в двух вариантах: 1) guz, γuz, goz, giz,ср. gizgizi||guzguzi||γuzγuzi „разводить огонь“; 2) gz, ср. agzneba||agzeba „разводить огонь“; mugzuri, nigzuri „головня, головяшка“.

Чан. kodo-gz-u

Мегр. kodā-rz-u

Сван. liγūze||liguze.

В общекартвельском языке, на наш взгляд, архетипом этих вариантов должен был быть корень guz.

LINGUISTICS

B. A. TSKHADADZE

ONE COMMON IMITATIVE VERBAL ROOT IN KARTVELIAN LANGUAGES

Summary

There are two variants of *გზ* (*gz*) imitative verbal root in Kartvelian languages: with vowel (*გუზი*, *ღუზი*, *ვოზი*, *ვოზი*) (*guz*, *ghuz*, *goz*, *giz*) and without vowel: Georg. *აგზება*||*აგზება*, *გუზები*, *გიზები* (*agzneba*||*agzeba*, *guzguzi*, *gizgizi* “to light a fire”, “voice of fire”). *ნიგოზალი*||*ნიგუზალი* (*nigozali* ||*niguzali* “fire-brand”).

Chan: *ქოდო-გზუ* *kodo-gz-u* (“lit a fire”)

Megr.: *ქოდა-რზუ* *kodā-rz-u* (“lit a fire”)

Svan.: *ლილუ-ჟელივუზე-ე* *liγūze*||*liguze* (“lit a fire”)

There is no semantic difference between words derived from *გზი*||*გუზი*||*ღუზი*||*გვიზი* (*gz*||*guz*||*γuz*||*giz*) verbal roots: in Kartvelian languages they have the same meaning (i. e., “to light a fire”).

Лიтература — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ქ. ფოგტი. ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა. თბილისი, 1961.
2. ჩ. ბინაშვილი. ქართული ლექსიკონი რესული თარგმანითური. თბილისი, 1961.
3. ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი, 1973.
4. ი. ჭავთარაძე. ამონსაკლუტი ფილოლოგია, ტ. III. თბილისი, 1976.
5. გვეველის წიგნის ძევლი ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსაცემად, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთოთ. ცენტრული მამაკანი, გამოკვლევა და ლექსიკონი, 1976.
6. ე. ე. ნ. ტ. გ. გურული კილო. ტფილისი, 1936.
7. გ. შარაშიძე. გურული ლექსიკონი (გურული, ზემომიერული და ლეჩხუმური ლექსიკონები) ქართველურ ენათა ლექსიკა, I. თბილისი, 1938.
8. ქ. ძოვენიძე. ზემომიერული ლექსიკონი. თბილისი, 1974.
9. შ. ნიკარაძე. ქართული ენის ქართული დალექტი, ლექსიკა. ბათუმი, 1971.
10. სტ. მენთე შაშვილი. ქიზიური ლექსიკონი. თბილისი, 1943.
11. ქ. სიხარულიძე. საბაქშვი ფოლკლორი. თბილისი, 1938.
12. ი. ჭყანა. სიტყვის კონ. СПб., 1910.
13. Friedrich Neisser. Studien zur georgischen Wortbildung, Wiesbaden, 1953.

ი. შემოქმედი, ი. მოსიძე

ფრანგული და გერმანული ენების R ფონემის უცულარული
ვარიანტის შეპირისპირობითი ანალიზი

(წარმოადგინა აკადემიუმში შ. ძიძეგურმა 2.1.1983)

ჩვენი კვლევის მიზანია ამჯერად წარმოვადგინოთ ჩვენ მიერ ჩატარებული
ფრანგული და გერმანული ენების r ფონემის შეპირისპირების ექსპერიმენტუ-
ლი კვლევისა და დისტრიბუციული ანალიზის შედეგები.

ცნობილია, რომ აპიკალური r უცულარული r-ით იცვლება სხვადასხვა
ენაში: ფრანგულში, გერმანულში, ჰოლანდიურში, შვედურსა და დანიურში,
ნორვეგიულსა და სხვა ენასა თუ დიალექტში.

შეიძლება ევიარაულოთ, რომ რაღიოს, ტელევიზიის, კინემატოგრაფიის
განვითარებამ ინფორმაციის უფრო სწრაფი გადაცემისას მიბაძვის გზით მოახ-
დინა r პარიზულის (r-grasseye) ასეთი ინტენსიური გავრცელება სხვადასხვა
ენაში.

r-ის ახლებურ წარმოთქმას ფრანგულ ენაში ურბანული წარმოშობის ფე-
ნომენად მიიჩნევენ და სხიან საწარმოთქმო ძალის შესუსტებით, რომელსაც
წარმოთქმის გადავარებას ან დეგენერაციას უწოდებენ [1].

საგულისხმოა, რომ r-ის წარმოთქმისას ძალის შესუსტებას სხვადასხვა
ენაში სხვადასხვაგვარი ხსიათი აქვს: ზოგჯერ r-ის წარმოთქმისას ქრება ვიბ-
რაცია, აღარ წარმოიშობა სკდომათა სერია, ნაპრალი აღარ იხურება სრულად
და რჩება ჰაერნაკადის გასასვლელი. ჰაერნაკადი გაივლის წერილ ხერელში და
წარმოიშობა ხახუნის ხმაური — ფრიქცია. აქ აღარ იგრძნობა ვიბრაცია და
წარმოიშობა ფრიკატული თანხმოვანი.

გერმანულსა და ჰოლანდიურში ამ ფენომენს ნაკლებად აქვს მოკიდებული
ფეხი, ვიდრე ფრანგულში. დანიურში აპიკალური r გაქრა, შემორჩა მხოლოდ
რამდენიმე კილოვას, შვედურში უცულარული r იხმარება მთელ სამხრეთ
მხარეში, ნორვეგიულში რამდენიმე რეგიონში გვხვდება r უცულარული. ჩრდი-
ლო იტალიასა, პორტუგალიასა და ამერიკის ზოგიერთ რეგიონში, ესპანურ ენა-
ში გაორკეცებულ r წარმოთქმის როგორც უცულარული r. ასეთი წარმოთქმა
გვხვდება აგრეთვე დიდი ბრიტანეთის ერთ რეგიონში — Northumberland-ში.

ფრანგულ ენაში „r-grasseye“-ს ან უცულარული r-ის დისტრიბუციული,
ოსცილოგრაფიული და სპექტრული ანალიზის შედეგების მიხედვით შეგვიძ-
ლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ფრანგულ ენაში (ვგულისხმობთ ჩრდი-
ლეთ საფრანგეთსა და პარიზს) იხმარება r ფონემის ერთი ვარიანტი „r-gra-
ssseye“, რომლის სტაბილიზაცია მოხდა ფონემად, ხოლო აპიკალური r შემორ-
ჩა ზოგიერთ რეგიონში რელიქტურად. ამის საფუძველს იძლევა ჩვენ მიერ პა-
რიზში 1972 წ. ჩატარებული ანკეტური გამოკითხვა 24 ცდის პირისა [2].

თანამედროვე გერმანულში იხმარება ვიბრირებული, ფრიკატული და აგ-
რეთვე ვოკალიზებული რედუცირებული r. ჟ. ულრიძმა სეგმენტური ხელსა-
წყობის მეშვეობით ჩატარა ფონეტიკურ-აუდიომეტრული ცდები. როგორც



— Ուղեծմա շիքեցնես, Ազգությունը կունակական հայությունը կտա 10000 մունավառ կազմություն պահանջման մասին, ուղեծմա 47% և հարուստական մասին, այլ պահանջման 39% և արդարական պահանջման 41% պահանջման մասին, ամսաթանգարական պահանջման 9% և ամսաթանգարական պահանջման 3% պահանջման մասին (օճախական պահանջման մասին) բարեկարգ գործություններում կատարելու մասին:

Իրավունք պահանջման մասին պահանջման մասին աշխատավորական հայությունը պահանջման մասին պահանջման առաջական դրամական աշխատավորական պահանջման մասին:

Հաջորդը գործությունը գործադրությունը պահանջման մասին պահանջման մասին պահանջման առաջական դրամական աշխատավորական պահանջման մասին:

Սուլ և աշխատավորական պահանջման մասին պահանջման մասին պահանջման առաջական դրամական աշխատավորական պահանջման մասին:

Գործությունը պահանջման մասին պահանջման մասին պահանջման մասին պահանջման մասին պահանջման առաջական դրամական աշխատավորական պահանջման մասին:

Բարեկարգ գործությունը պահանջման մասին պահանջման մասին պահանջման մասին պահանջման առաջական դրամական աշխատավորական պահանջման մասին:

Arbeiter

Սոեֆուրը 205

Տանցրդալու 90 մ/սկ (եթունյուր)

Berber

Սոեֆուրը 220

Տանցրդալու 85 մ/սկ (եթունյուր)

Körper

Սոեֆուրը 80

Տանցրդալու 50 մ/սկ (եթունյուր)

Տանցրդալու 50 մ/սկ (եթունյուր):

Koran

Սոեֆուրը 110—105—100

Տանցրդալու 88 մ/սկ պահանջման 36 մ/սկ եթունյուր

52 մ/սկ տանցրդալու 52 մ/սկ տանցրդալու

Uran

Սոեֆուրը 145—135—120

Տանցրդալու 160 մ/սկ պահանջման 88 մ/սկ եթունյուր

92 մ/սկ տանցրդալու 92 մ/սկ տանցրդալու

voran

Սոեֆուրը 135—122—110

Տանցրդալու 155 մ/սկ պահանջման 60 մ/սկ եթունյուր

85 մ/սկ տանցրդալու 85 մ/սկ տանցրդալու

Մյուլերու տանցրդալու 50 մ/սկ պահանջման մասին:

Grad

Սոեֆուրը 120—100

Տանցրդալու 160—165 մ/սկ

Մյուլերու տանցրդալու 50 մ/սկ պահանջման մասին:

arm

Սոեֆուրը 150—150—180

Տանցրդալու 200 մ/սկ պահանջման 158 մ/սկ եթունյուր

42 մ/սկ տանցրդալու 42 մ/սկ տանցրդալու

ყრუ თანხმოვნის წინა პოზიციაში ხმოვნისა და თანხმოვნის მახასიათებლები თანაბარია:

Artel სიხშირე 145—130

ხანგრძლივობა 90 მ/სკ აქედან 45 მ/სკ ხმოვნური
45 მ/სკ თანხმოვნური

ყრუ თანხმოვნის შემდეგ ჭარბობს ხმოვნის მახასიათებლები, ანდა მთლიანად ვოკალიზებულია, ინტენსივობის ნაწილობრივ დაწევით:

Streu სიხშირე 140—130—132—135

ხანგრძლივობა 200 მ/სკ აქედან 146 მ/სკ ხმოვნის
54 მ/სკ თანხმოვნის

Sprung სიხშირე 145—140—125

ხანგრძლივობა 140 მ/სკ ხმოვნური

sparsam სიხშირე 120—125

ხანგრძლივობა 85 მ/სკ ხმოვნური

CVR პოზიციაში კ მთლიანად ვოკალიზებულია, აქედან ინტენსივობის ნაწილობრივ დაწევით:

Bernstein სიხშირე 135—140

ხანგრძლივობა 110 მ/სკ ხმოვნური

Hering სიხშირე 120

ხანგრძლივობა 60 მ/სკ ხმოვნური

ა. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის

უცხო ენათა სახელმწიფო

პედაგოგიური ინსტიტუტი

(შემოვიდა 3.2.1983)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

И. Г. ЖЕНТИ, Ю. Л. МОСИДЗЕ

СОПОСТАВИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ ВАРИФОНА ФОНЕМЫ R ВО ФРАНЦУЗСКОМ И НЕМЕЦКОМ ЯЗЫКАХ

Резюме

Дистрибутивный анализ и экспериментальное исследование фонологического статуса и артикуляционно-акустических данных варифонов фонемы R выявили существенные различия во французском и немецком языках.

«г-Grasseye» (парижское) стабилизировалось в фонему в стандартном французском произношении, что предопределило стабильность его артикуляционно-акустических показателей. В немецком языке фонема R имеет позиционные варианты.

Экспериментальные исследования показали, что увулярный вариант фонемы R (г) встречается, в основном, в середине слова в интервокальной позиции или в начале слова: в конце же слова в результате вокализации г, ее показатели схожи с фонемой а.

Следует отметить, что увулярный вариант *r* в немецком языке и фонема *r*-grasseye во французском артикуляционно идентичны, что и подтверждается их акустическими данными.

Целесообразно считать также универсальной закономерностью то обстоятельство, что произношение апикального варифона «*r*» сменилось увулярным варифоном во всех языках вокального типа (во французском, немецком, шведском, голландском, датском и др.), фонологические системы которых содержат 12 гласных с восемью гласными передней артикуляции. Это универсальная закономерность подтверждает положение Пьера Делятре о том, что стабилизация произношения «*r*-grasseye «французского языка является проявлением тенденции к передней артикуляции [4].

LINGUISTICS

I. G. ZHGENTI, I. L. MOSIDZE

OPPOSITIONAL ANALYSIS OF THE UVULAR VARIPHONES OF THE PHONEME *r* IN THE FRENCH AND GERMAN LANGUAGES

S u m m a r y

A distributional analysis and experimental study of the phonological status and articulatory and acoustic data of the variphones of the phoneme *r* have revealed considerable differences in French and German.

R grasseye (Parisian) has become a stable phoneme in the French standard pronunciation, predetermining the stability of its articulatory and acoustic features. In contrast to this the phoneme *r* in German has positional variations.

Experimental studies have shown that the uvular variation *r* of the phoneme *r* occurs mainly at the beginning and in the middle of words, between vowels, but tends to resemble the phoneme *a* at the end of words, due to vocalization.

It should be noted that the variphone *r* in German and the phoneme *r* grasseye in French are articulatorily identical, as confirmed by their acoustic data. The fact that the pronunciation of the apical variphone *r* has been superseded by the uvular one in all the vocalic languages (French, German, Swedish, Dutch, Danish, etc) whose phonological system consists of 12 vowels with eight front vowels may be considered a universal phenomenon. This universality supports the supposition of Pierre C. Delattre on the tendency of *r* grasseye towards front articulation in the French pronunciation.

ԸՆԹԱՐԱԾՄԱՆ — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. B. Malmberg. Phonetique, № 637, Paris, 1971.
2. օ. յըսեբ օ. հյեծանձուրի և սամայնողի յանցքաբան թօնքաբան մասալլեմ. տօնութեա, 1981.
3. H. Ulrich. Instrumentalphonetischauditive R-Untersuchungen im Deutschen. Berlin, 1972.
4. P. Delattre. Studies in French and Comparative Phonetics. The Hague, 1966.

ქ. დათუავალი

გვერდათმონაცვლეობის საკითხი რეზუალიცირებულ ფუძეები

(წარმოადგინა ეკადემიკოსმა შ. ძიძიშვილმა 20.2.1983)

ქართული ფუძეების რეზუალიციაციის პროცესში საქმიანდ მნიშვნელოვანია ბერძნობრივი ცვლელობის საკითხი. მორფების გაორმავების ფაქტს მჩავალი მკვლევარი ეხება. ფ. ე. რთელი ვილს აღწერილი აქვს სახელური და ზმნური გაორმავებული ფუძეების ფონემატური სტრუქტურა ([1], გვ. 182—194; [2], გვ. 137—154). ეს მასალა საშუალებას იძლევა დადგინდეს ბერძნობრივი ცვლელობის გარკვეული კანონზომიერებანი.

ფ. ერთელიშვილს მოცემული აქვს ცალკეულ გაორმავებულ ფუძეთა ორი ან რამდენიმე პარალელური ფორმა, სადაც აუსლაუტში ხან სონორია წარმოდგნილი, ხან რომელიმე ჩქარიერი. ისმის საკითხი: რომელი ფორმაა ამოსავალი. ფ. ერთელიშვილის აზრით, უფრო ძველი ჩანს სონორზე დამთავრებული ფუძეები, შემდეგ კი, ბერძნობრივი ცვლელობის გზით, მიღებულია მათი პარალელური ფორმები. აღნიშნულ გამოკვლევებში არ არის ახსნილი ამ მონაცვლეობის კანონზომიერებანი. ფ. ერთელიშვილის ნაშრომებიდან საანალიზოდ ავიღეთ რეზუალიცირებული ფუძეები და შევეცადეთ გვეჩენებინა სონორთა თავისებურებანი მონაცვლეობის დროს.

განხილულ მასალაში ორკეცდება CVC ტიპის მორფები, ამიტომ, ბუნებრივია, რეზუალიცირებულ ფუძეებში ბერძნობრივი ცვლელობის საკითხი დაუკავშირდება CVC ტიპის მორფემათა ფონემატურ სტრუქტურას. CVC-ს ანალიზისათვის გამოყოფენ თანხმოვანთა კლასებს. ამა თუ იმ კლასში შემავალი ფონემები, როგორც წესი, არ არის წარმოდგენილი ერთი მორფემის ფარგლებში. ჩვენი მასალის ანალიზისათვის უფრო მოხერხებულია ჰ. ფ. ე. ნ. რის ის კლასიფიკაცია ([3], გვ. 110), კრძოდ, საწარმოთქმო ადგილის მიხედვით თანხმოვანთა დაყოფა ოთხ კლასად:

- | | |
|--------------------|---------------------|
| 1. ბაგისმიერები | ბ ფ პ მ ვ |
| 2. კბილისმიერები | დ თ ტ |
| 3. ნუნისმიერები | ძ ც წ ზ ს ჯ ჩ ჭ ჟ შ |
| 4. უკანაგისმიერები | გ ქ კ ლ ხ ყ კ |
- რ ლ ნ სონორებს ქვემოთ შევეხებით.

თუ ამოსავლად მივიღებთ თანხმოვანთა ამგვარ კლასიფიკაციას, მაშინ განხილული მასალის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ასეთი წესი: რეზუალიცირებულ ფუძეებში აუსლაუტის სონორი მონაცვლეობს ისეთ თანხმოვანთან, რომლის კლასის ფონემა არა გვაქვს ამოსავალი ფუძის (1 ანლაუტში).

ეს შეგვიძლია ასე გამოვსახოთ: თუ C_1VS-C_1VS ფუძე მონაცვლეობს $C_1VC_2-C_1VC_2$ ფუძესთან, მაშინ დაუშვებელია, რომ C_2 იყოს იმავე კლასის ფონემა, რომელ კლასსაც C_1 განეკუთვნება.

(1) ამოსავალ ფუძეს ეუწოდებთ CVC ტიპის მორფემას, რომლის რეზუალიცირება ხდება.

10. „მოამბე“, ტ. 111, № 1, 1983



განვიხილოთ მაგალითები. მათ გვერდით წარმოვადგენთ აუსლაპტირის ნორის მონაცემებას ანლაუტის თანხმოვანზე მითითებით.

ზნური ფუძეები:

1. თუ ამოსავალი ფუძის ანლაუტის თანხმოვანი ბაგისმერია, მაშინ აუსლაუტის სონორი მონაცემებს კბილისმიერ, ნუნისმიერ ან უკანაენისმიერ თანხმოვანთან: *ბილბილი/ბიჟბიჟი: ბ—ლ/უ; (2 ბურბური/ბუღბუღი/ბუზბუზი/ *ბუყბუყი/ბუტბუტი/ბუყბუყი/ბუქბუქი/ბუხბუხი: ბ—რ/დ, რ/ზ, რ/ტ, რ/ყ, რ/ჩ, რ/ხ; გარვარი/გასვასი/გახვახი: ვ—რ/ს, რ/ხ; მარტარი/მასმასი: მ—რ/ს; პარპარი/პატპატი: პ—რ/ტ; ფარფარი/ფათფათი/ფაცფაცი/ფახფახი: ფ—რ/თ, რ/ც, რ/ხ;

2. თუ ამოსავალი ფუძის ანლაუტის თანხმოვანი კბილისმიერია, მაშინ აუსლაუტის სონორი მონაცემებს ბაგისმიერ, ნუნისმიერ ან უკანაენისმიერ თანხმოვანთან: *დარდარი/დაგდაგი. ღურღური/ღუგღუგი: ღ—რ/გ; თამთამი/თაქთაქი/თახთახი: თ—მ/ქ, მ/ხ; თიმთიმი/თიკთიკი/თიხთიხი: თ—მ/კ, მ/ხ; ტარტარი/ტაკტაკი: ტ—რ/კ; ტირტირი/ტიკტიკი/ტიხტიხი: ტ—რ/ვ, რ/ქ, რ/ხ; ტურტური/ტუსტუსი/ტუხტუხი: ტ—რ/ს, რ/ხ;

3. თუ ამოსავალი ფუძის ანლაუტის თანხმოვანი ნუნისმიერია, მაშინ აუსლაუტის სონორი მონაცემებს ბაგისმიერ, კბილისმიერ ან უკანაენისმიერ თანხმოვანთან: ზიმზიმი/ზიბზიბი/ზიკზიკი: ზ—მ/ბ, მ/კ; ზურზური/ზუბზუბი: ზ—რ/ბ; ზივზივი/ზიკზიკი: ზ—ვ/კ; ჩურჩური/ჩუქჩუქი/ჩუფჩუფი/ჩუქჩუქი/ჩუხჩუხი: ჩ—რ/კ, რ/ფ, რ/ქ; ცამცამი/ცაქცაქი/ცახცახი: ც—მ/ქ, მ/ხ; ციმციმი/ციქციქი: ც—მ/ქ; *წივწივი/წიკწიკი/წიბწიბი: წ—ვ/კ, ვ/ს; წურწური/წუკწუკი: წ—რ/კ; ჭიდჭივი/ჭიმჭიმი/ჭიკჭიკი/ჭიპჭიპი/ჭიყჭიყი/ჭიხჭიხი: ჭ—ვ/მ, ვ/ქ; ვ/ქ, ვ/ყ, ვ/ხ; ჭიძჭიძი/ჭიგჯიგი/ჭილჭილი/ჭიყჭიყი: ჭ—მ/გ, მ/ღ; ჭუმჭუმი/ჭუგჭუგი/ჭიგუგუგი: ჭ—მ/გ, მ/გ;

4. თუ ამოსავალი ფუძის ანლაუტის თანხმოვანი უკანაენისმიერია, მაშინ აუსლაუტის სონორი მონაცემებს ბაგისმიერ, კბილისმიერ ან ნუნისმიერ თანხმოვანთან: *გარგარი/გაზგაზი: გ—რ/ზ; გურგური/გულგული/გუღგუღი/გუზგუზი: გ—რ/ლ, რ/დ, რ/ხ; კარკარი/კავკავი/კამკამი/კასკასი/კაშკაში: კ—რ/ვ, რ/მ, რ/ს, რ/შ; კივკივი/კიპკიპი/კისკისი/კიწკიწი: კ—ვ/პ, ვ/ს, ვ/წ; კურკური/კუმკუმი/კუთკუთი/კუტკუტი/კუწკუწი/კუპკუპე: კ—რ/მ, რ/თ, რ/ტ, რ/წ, რ/ქ; ქარქარი/ქავქავი/ქაზქათი/ქასქასი/ქაქქაფი/ქაცქაცი: ქ—რ/ვ, რ/თ, რ/ტ, რ/წ, რ/ქ, რ/ფ, რ/ც; ქავევავი/ქაევეფა: ქ—ვ/ც; ქირქირი/ქივქივი/ქიტქიტი: ქ—რ/ვ, რ/ტ; ქორქორი/ქოთქოთი: ქ—რ/თ; *ღარღარი/ღვლავი/ღადღადი/ღაზღაზი/ღალალი/ღაფღაფი/ღიზღიზი: ღ—ღ/მ, ღ/დ, ღ/წ, ღ/ქ; ღურღური/ღუღღუღი/ღუზღუზი: ღ—რ/დ, რ/ჩ; ყარყარი/ყავყავი/ყაფყაფი/ყატყატი: ყ—რ/ვ, რ/ტ, რ/წ; ხარხარი/ხავხავი/ხახხახი: ხ—რ/ვ, რ/მ, რ/თ, რ/ს, რ/ფ, რ/შ, რ/ტ; ხოხხორი/ხოვხოვი/ხოხხოხი: ხ—რ/ვ, რ/თ;

თუ ამოსავალი ფუძის ანლაუტში გვაქვს რ ლ ნ სონორები, მაშინ აუსლაუტის თანხმოვანი მონაცემებს ნებისმიერი კლასის თანხმოვანთან: რაკრაკი/რატრატი/რაყრაყი/რაცრაცი/რახრახი: რ—გ/ტ/ყ/ც/ხ; რეტრეტი/რეცრეცე: რ—ტ/ც; რიკრიკი/რიხრიხი/რიჯრიჯი: რ—კ/ს/ქ; რუზრუზი/რუკრუკი/რუტრუტი/რუშრუში/რუხრუხი: რ—ზ/კ/ტ/შ/ხ; ლაგლაგი/ლავლავი/ლაკლაკი/ლაბლაბი/ლასლასი/ლაფლაფი/ლაქლაქი/ლაღლაღი/ლაყლაყი/ლაშლაში/ ლაბლახი/ლაწლა



წი/ლახლახი/*ლაქლაკი: ლ—გ/ვ/ქ/ბ/ს/ფ/ქ/ლ/ყ/შ/ჩ/წ/ხ/ქ; ლიგლიგი/ლიგლივი: ლ—გ/ვ/ქ/ბ/ს/ფ/ქ/ლ/ყ/შ/ჩ/წ; ლუგ-ლუგი/ლუგლუთი/ლუკლუკი/ლულლული: ლ—გ/თ/ქ/ლ/ყ; ნიკნიკი/ნილნილი: ნ—ქ/ლ;

სახელურ ფუქსებთანაც მოქმედებს იგივე წესი. $C_1VS-C_1VC_2-C_1VC_2$ მონაცემების გვერდით აქ გვაქვს აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როცა არველი სეგმენტის სონორი დაკარგულია, ამიტომ მონაცემებს მხოლოდ მეორე სეგმენტის აუსლაუტის სონორი: $C_1V-C_1VS-C_1V-C_1VC_2$.

1. სონორი მონაცემებს ბაგისმიერთან. ამოსავალი ფუძის ანლაუტის თანხმოვანი უკანაგისმიერია: კოკორ/კოკობ: კ—რ/ბ; ხოხონ/ხუხუბ: ხ—ნ/ბ;

2. სონორი მონაცემებს კბილისმიერთან. ამოსავალი ფუძის ანლაუტის თანხმოვანი ნუნისმიერია ან უკანაგისმიერი: გუგულ/გუგუტ: გ—ლ/ტ; კო[რ]-კორ/კორ-კოტ: კ—რ/ტ; ქარქარ/ქათქათ: ქ—რ/თ; ქორქოლ/ქოთქოთ: ქ—რ/ლ/თ; ღაღან/ღაღლად: ღ—ნ/დ; ღურღურ/ღურღუთ, ღურღურ/ღურღუტ/ღუღღუდ: ღ—რ/თ, რ/დ; ყურყუმ/ყურყუტ: ყ—მ/ტ; *ჩერ-ჩერ/ჩერ-ჩეტ: ჩ—რ/ტ; ჩორ-ჩოლ/ჩორჩიტ: ჩ—ლ/ტ; ხორ-ხორ/ხორ-ხოტ: ხ—რ/ტ;

3. სონორი მონაცემებს ნუნისმიერთან. ამოსავალი ფუძის ანლაუტის თანხმოვანი უკანაგისმიერია: გორგოლ/გორგოჭ: გ—ლ/ჭ; კანკარ/კანკას: კ—რ/ს; კარ-კარ/კარკაც: კ—რ/ც; კამკამ/კასკას: კ—მ/ს; კოკოლ/კოკოც: კ—ლ/ც; ქერ-ქელ/ქერ-ქეჭ: ქ—ლ/ჭ; ღაღალ/ღაღაჭ: ღ—ლ/ჭ; ხორ-ხორ/ხორ-ხოზ/ხორ-ხოც: ხ—რ/ზ, რ/ც;

4. სონორი მონაცემებს. უკანაგისმიერთან. ამოსავალი ფუძის ანლაუტის თანხმოვანი ბაგისმიერია ან ნუნისმიერი: *ბორ-ბორ/ბორ-ბოხ: ბ—რ/ხ; ზინ-ზილ/ზიზიჯი: ზ—ნ/ლ/კ; პოპორ/პოპოქ/პოპოქ: პ—რ/კ, რ/ქ; უნცულ/უნცუხ: ც—ნ/ლ/ხ; წუწუნ/წუწუჭი: წ—ნ/კ; ჭან-ჭარ/ჭანჭას: ჭ—რ/ხ; ჭოჭოლ/ჭოჭოლ: ჭ—ლ/ღ; ჭუჭუნ/ჭუჭუჭი: ჭ—ნ/კ; ჭუჭულ/ჭუჭუქ: ლ/ჸ;

განხილულ მასალაში თუ ამოსავლად მივიღებთ სონორზე გათავებულ გაორმაგებულ ფუქსებს, მაშინ ბერძნო-კავკასიური პროცესი ასე წარმოგვიდება: ჭერ დისიმილაციის საფუძველზე ხდება რედუპლიცირებული ფუძის მეორე სეგმენტის აუსლაუტის სონორის შეცვლა რომელიმე თანხმოვნით (ზემოთ ონიშნული წესის შესაბამისად), შემდეგ პირველი სეგმენტის აუსლაუტის სონორი მიემსგავსება მეორე სეგმენტის აუსლაუტის ჩქამიერს. შეიძლება სხვა ვარაუდიც: მეორე სეგმენტი გაიაზრება ახალ ამოსავალ ფუქსედ და ხდება მისი ხელახალი რედუპლიცაცია. მაგალითად, გვაქვს სამი პარალელური ფორმა: ღურღურ/ღურღუტ/ღუღღუდ. ჭერ უნდა მომხდარიყო რ-რ-ს დისიმილაცია და მივიღეთ ღურღუტ, შემდეგ კი ღურღუტ-იდან მივიღეთ ღუღღუდ, ე. ი. პროცე-ცი ასე. წარმოგვიდება: ღურღურ→ღურღუტ→ღუღღუდ.

ფ. ერთეულიშვილს მოტანილი აქვს ბევრი გაორმაგებული ფუქს, სადაც პირველი სეგმენტის აუსლაუტში სონორია, ხოლო მეორე სეგმენტის აუსლაუტში — ჩქამიერი თანხმოვანი. ამ ფუქსებს არ მოეპოვებათ ორსონორიანი პარალელური ფორმები, მაგრამ ფ. ერთეულიშვილის აზრით, შეგვიძლია დაუკუ-შეათ, რომ აქაც აუსლაუტის ჩქამიერი დისიმილაციის შედეგად არის მიღებული ([2], გვ. 170—171).

ეს მასალაც ზემოთ აღნიშნულ წესს მიჰყება. თუ ვივარაუდებთ, რომ არ-სებობდა ამ ფუქსების ორსონორიანი ვარიანტები, მაშინ მეორე სეგმენტის სონორი შეცვლილია ისეთი თანხმოვნით, რომლის კლასის ბევრა არა გვაქვს ფუძის ანლაუტში.

1. სონორი მონაცემებს კბილისმიერთან. ფუძის ანლაუტის თანხმოვანი



ბაგისმიერია, ნუნისმიერი ან უკანაენისმიერი: ზმნური ფუძეები: ზმნურუტი, ზურზუტი, კირკიტი, კორკოტი, კურკუტი, სურსუტი, ფარფატი, ფირფიტი, ფორფოტი, *ლარლატი, ლერლეტი, ლირლიტი, ლურლუტი, ყარყატი, ყერყეტი, ყირყიტი, ყურყუტი, ჩერჩეტი, *ცერცეტი, ცირციტი, ხირხიტი, ხორხოტი; სახელური ფუძეები: ბერ-ბეტ, გერ-გეტ, კირ-კიტ, კორ-კოტ, ფირ-ფიტ, ფურ-ფუტ, ჭერ-ჭეტ, ლერ-ლეტ, ლირ-ლიტ, ლურ-ლუტ, ყარ-ყატ, ყურ-ყუტ, ჩირ-ჩიტ, ჩირ-ჩიუტ, ძირ-ძიტ, წურ-წუტ, წურ-წუტ, ხირ-ხიტ, ხორ-ხოტ, ხურ-ხუტ;

2. სონორი მონაცელებს ნუნისმიერთან. ფუძის ანლაუტის თანხმოვანი ბაგისმიერია, კბილისმიერი ან უკანაენისმიერი: ზმნური ფუძეები: ბარბაცი, ბორბოცი, *ბურბუს, *გირგის, გურგუსი, ღირღიში, კარკაცი, *კურკუზი, *კურ-კუში, პარპაში, ფარფაში, ფირფიცი, ფურფუში, *ფურფუში, *ქარქაში, ლარ-ლაცი, *ლერლეცი, ლირლიცი, *ლირლიჭი, ყარყაში, ხორხოჭი, ხორხოცი; სახელური ფუძეები: ბორბოშ, ბურ-ბუშ, გორ-გოშ, კარ-კაზ, კურ-კუზ, ფურ-ფუშ, ქერ-ქეშ, ლურ-ლუჭ, ყირ-ყიზ, ხერ-ხეშ, ხორ-ხოშ;

3. სონორი მონაცელებს უკანაენისმიერთან. ფუძის ანლაუტის თანხმოვანი ბაგისმიერია, კბილისმიერი ან ნუნისმიერი: ზმნური ფუძეები: ბორბოჭი, ფირფიხი, ძურძუკი; სახელური ფუძეები: დარ-დაკ, ზორ-ზოხ, კუნ-კუხ, ჩინ-ჩიხ, ჩიმ-ჩიყ, ძან-ძახ, ძორ-ძოხ, წურ-წუჭ, ჭან-ჭახ, ჭენ-ჭეხ, ჭიმ-ჭიყ, ჭუნ-ჭუხ, ჭინ-ჭიხ.

ერთადერთი გამონაკლისია „კუნ-კუხ“.

მიზანის სახ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა

და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

(შემოვიდა 11.3.1983)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

К. Т. ДАТУКИШВИЛИ

К ЧЕРЕДОВАНИЮ СОНОРНЫХ СОГЛАСНЫХ
В РЕДУПЛИЦИРОВАННЫХ ОСНОВАХ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Р е з ю м е

В редуплицированных основах типа CVS—CVS если сонор S чередуется с шумным согласным, то этот согласный будет гетерорганическому начальному согласному.

LINGUISTICS

K. T. DATUKISHVILI

ON THE ALTERNATION OF RESONANT CONSONANTS IN
GEORGIAN REDUPLICATED STEMS

S u m m a r y .

If the resonant S in reduplicated stems of CVS-CVS type alternates with a noise consonant the latter consonant will be heterorganic to the initial consonant.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

- ფ. ერთეული შვილი. ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. თბილისი, 1970.
- ფ. ერთეული შვილი. სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. თბილისი, 1980.
- ჯერიხი ე. ენთა გენეტიკური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და აღრინდელი საერთოქართველური ფუძეების ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგიერთ საკითხი. თბილისი, 1978.

პ. ბარძავლიძე

„კაკო ყაჩალის“ პოეტიკა (ფაზულა და ციუშეთი. პოეპოზიცია)

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ციციშვილმა 28.1.1983)

პირველი მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც სისრულით გამულავნდა ხალგაზრდა ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობის მრავალი მხარე, არის მოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩალის ცხოვრებიდამ“. ამ პოემას, ილიას სიცოცხლეშივე დამკვიდრებული ტრადიციით, შემოკლებით „კაკო ყაჩალის“ უწოდებენ.

თანამედროვე ლიტერატურობის დასკვნების მიხედვით, კომპოზიცია მხატვრული ნაწარმოების ერთიან, მთლიან სტრუქტურად გვესახება, ხოლო უაბულად და სიუჟეტი ამ სტრუქტურის — „არტილი“, „კაკო ყაჩალი“, „გამზრდები“, „ალუდა ქეთელაური“ და სხვ. — შექმნას, მხატვრული ნაწარმოების შექმნას ემსახურება. ჩვენ არა ვართ მომხრე ფაბულისა და სიუჟეტის გაიგებდისა. ფაბულას უთუოდ ქვეს თავისთავადი ფუნქცია. მაგრამ ფაბულის ხორცშესხმა, მისი, ასე ვთქვათ, რეალიზაცია, მაინც სიუჟეტის საშუალებით ხდება. მაშინადამე: მწერლის პოეტური ენის, მისი სხვა საშუალებების — ბუნების სურათი, პორტრეტი, ყოფითი და ფსიქოლოგიური დეტალები — შერჩევა ხდება სიუჟეტში და ყოველივე მის განლაგების წესი, მათი სიზუსტით, სიღრმით და სიახლით ხორცშესხმა ჰქმნის კომპოზიციას, სტრუქტურას, რასაც ჰქვია მხატვრული ნაწარმოები, ამ შემთხვევაში — პოემა „კაკო ყაჩალი“. წწორედ ამ კომპოზიციურ მთლიანობაში შეღვნდება პოეტის მხატვრული ოსტატობის და მისი ნიშიერების ხარისხი.

„კაკო ყაჩალი“ კლასიკური პოემის ტიპურ ნიმუშად გვესახება. როგორც ყველა დიდი შემოქმედის ქმნილება, ილიას ეს პოემაც ეპოქის კულტურის, მხატვრული და ინტელექტუალური დონის მონაცოვარია. ამიტომ პოემის პოეტიური ანალიზისას უპრიანია გამოვიყენოთ სიუჟეტურ-კომპოზიციური ანალიზის ტრადიციული ხერხი.

პოემის ფაბულა ასე გვესახება: ზაქრო, რომელმაც თავისი ბატონი მოჰქმდა, იძულებულია ტყეს შეაფაროს თავი. მან წინასწარ იცის, რომ კუდი-გრის ტყეში შეხვდება მასავით უსამართლობას გამოქცეულ, სახელიან ყაჩალს კაკო ბლაჭიაშვილს. გზად შეხვედრილი მეურმისაგან იგი გაიგნებს კუდი-გრის გზას, შეხვდება კაკოს და გაენდობა მას.

ზაქროსა და კაკოს საუბარი წარმოადგენს პოემის ძირითად, მხატვრული ღროს ხანგრძლივობით ყველაზე მთავარ ნაწილს.

ასეთია პოემის ფაბულა.

როგორაა იგი განსახოვნებული სიუჟეტში?

საამისოდ ილია იყენებს კლასიკური პოემის მიერ დამკვიდრებულ ყველა კომპონენტს. ამასთან, ყველაფერი ემორჩილება პოეტის მთავარ ჩანაფიქრს: აქენოს ბატონიური ილიას უღელვეშ მოქცეულ დამიანთა ტრაგიული ხედრი, მთი დაუკეტელი სწრაფვა თავისუფლებისადმი. პოეტის ეს მძაფრი, გამჭოლი შრი პოემას ანიჭებს მაღალი ესთეტიკური ზემოქმედების ხარისხს.



თუ „აჩრდილში“ აზრის შინაგანი მოძრაობა განსაზღვრავს პოეტის შეტურ-კომპოზიციურ თავისებურებას, „კაკო ყაჩალში“ პირიქით, სწორედ სიუჟეტურ-კომპოზიციური ელემენტები განსაზღვრავენ აზრის სიმძაფრეს.

პოემის ექსპოზიციას პოეტი ჰქმის ბუნების სურათით. აქ ილია ოწევეს იმ ტრაგიკული განცდის შექმნას, რომელიც შემდეგ პოემს შინაარსში უნდა გამუდავნდეს. პოეტი იყენებს განპიროვნების ხერხს, რომ ხაზგასმით მიანიშნოს ბუნების ამ სურათის საგანგებო დანიშნულებაზე. ეპითეტები, შედარება-მეტაფორები მკითხველის წარმოსახვაში ჰქმიან იმ იერასხეს, რომელიც შემდეგ, პოემაში, საერთო-სახალხო მწუხარების მათგრ სურათებად აისახება, პოემის გმირთა ტრაგიკული ბედი სახალხო ტრაგედიად განიცდება. „ბნელიდ გაშლილი მწუხარის ზეწარი“, „მუდამ მჭმუნავი მთვარე“, „მწუხარე ღამე“, „მდუმრე ქვეყანა“, „ჩაძინებული ველი“, „დაფიქრებული“ მთ, „დაღლილი“ მიწა და ცა, „მოჩივანი“ ალაზანი, — მთელი ეს კოსმიური სურათი და, ბოლოს, მეურმე თავისი მწუხარე სიმღერით, პოემის დასაწყისში დახატულ ბუნების სურათს, როგორც აღვნიშნეთ, სრულიად განსაკუთრებულ დანიშნულებას ანიჭებს და ამიტომ უნდა მივიჩნიოთ იგი პოემის ექსპოზიციად. ექსპოზიციის ნაწილად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე პოემის ეპიგრაფი: „მიეც გლახაეთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები, მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“. ავთანდილის ანდერძის სიტყვებმა მკითხველს უნდა წინასწარ აგრძნობინოს, რომ ზაქრო და კაკო აგაზაკები კი არ არიან, არამედ „ყაჩალები“ — ისეთნი, როგორიც იყო არსენა ოძლელშვილი: „მდიღარს ართმევ, ღარიბს აძლევა...“ მით უფრო, რომ პოემაში არსენას სახეს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა.

მაგრამ პოემის სათაურია „რამდენიმე ეპიზოდი ანუ სურათი ყაჩალის ცხოვრებიდამ“. მაშასადამე: თუ ამ პოემას დავყოფთ რამდენიმე სურათად ანუ ეპიზოდად, ცხადია, მას ექნება რამდენიმე ექსპოზიცია, კვანძი, კულმინაცია და ა. შ.

როცა ამ თვალსაზრისით ვაკვირდებით, „კაკო ყაჩალში“ ორი ძირითად სრუეტურ-კომპოზიციური ხაზი უნდა გამოიკვეთოს. პირველი: „ზაქროსა და კაკოს თავგადასავალი“, მეორე „ზაქროს ნაამბობი“. პირველს მოგვითხოვთ ავტორი, მეორეს — ზაქრო.

რაკი პოემაში, მის მხატვრულ დროში, „ყაჩალი“ მხოლოდ კაკოა, ხოლ ზაქრო ჯერ „ყაჩალი“ არაა, იგი „მხედრად“ იწოდება, მაშასადამე ეს „ეპიზოდები“ კაკოს ცხოვრებიდანაა აღებული. მაგრამ რაკი ზაქროს თავგადასავალ ნაამბობის სახითაა წარმოდგენილი და მას პოემაში როგორც რეალური ღროსი, ისე მსატვრული ღროის თვალსაზრისით, ვრცელი ადგილი განეკუთვნება, ორივე თავგადასავალი ერთნაირი უფლებით უნდა გახდეს პოეტიკური ანალიზის ობიექტი.

I. „ზაქროსა და კაკოს თავგადასავალი“.

ექსპოზიცია: ზაქროს შეხვედრა მეურმესთან. მეურმის სიტყვებში უკვე მოცემულია კაკოს დახასიათება. მეურმის აზრით, კაკო საშიში მეტოქეა, „მალია, როგორც ხირიმის ტყვია და ტყვიასავით დაუნდობელი, თუ სისხლი ჰმართებს, ისა სჯობია, შეარჩინო და აიღო ხელი“.

კვანძი: ზაქროსა და კაკოს შეხვედრა. წამოხტა კაკო ლომივით ზეზე, თოფი მოზიდა და შეაყენა და, რა იხილა მხედრაზე ველზე, შეპივლა: „მითხა, ვინა ხარ შენა? რისთვის მოსულხარ, მოყვრად თუ მტრადა?“

მოქმედება: კაკოსა და ზაქროს საუბარი, რომელიც გრაფიკულად დიალოგის ფორმითაა წარმოდგენილი: კაკო.... მხედარი. მხედარი.... კაკო.



მოქმედების კულმინაცია: კაკოს მრისხანება. „წამოხტა კაკო განრისხებული, მას აერია სული და გული და შეუტია მწყრალად ზაქროსა“. ეს მრისხანება გამოშვეულია, კაკოს აზრით, ზაქროს პასიურობით, როდესაც მას მოხუცი მამა უცემეს.

კვანძის გახსნა: პოემის ბოლო სურათი: „...ზაქრო მწუხარედ პირაშვი დაეცა დაღუმებული. დიდ ხანსა ეგდო ეგრე მღუმარედ გულში ვაების ცეცხლმოდებული. ამ საწყალს შვილზედ კაკოც შეწუხდა, ორთავ წაიღო ერთ-მა ნალველმა“.

II. ზაქროს ნაამბობი.

ზაქროს ნაამბობი ხასიათდება სიუჟეტური კომპონენტების კლასიკური თანმიმდევრობით და პოეტის მთავარ ჩანაფიქრს ჩამოყალიბებულ სახეს აძლევს. იგი ეპიკური უანრისათვის დამახასიათებელი გაბმული თხრობითაა დაწერილი და, იშვიათად, კაკოს რეპლიკებითაა შეზავებული, რაც თხრობის დინამიკას აძლიერებს, ეხმარება მთხრობელს, რომ კიდევ უფრო გაამძაფროს სიუჟეტი.

ეს პოემის განვითარება ზაქროს ნაამბობს აქვს ვრცელი ექსპოზიცია, რომელშიც ასახულია პოემის გმირის ბავშვობის სურათი. ეს არის პასტორალური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში ქართულ მწერლობაში: „დამო, რა ტყბილად, რა უდარცელად ჩემი დღეები იქ მიღიოდნენ ...“ და ა. შ. პოემის ეს ნაწილი ღრმა ლირიზმითაა გამსჭვალული, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს ოტატურად დახატული ბუნების სურათები. ამ ნაწილშივე თავს იჩენ სახალხო გმირის არსენა ოძღვანლის სახე, რაც მთელს პოემას უდევს ლიტორტივად.

კვანძი: მოქმედების კვანძის შეკვრად უნდა მივიჩნიოთ ზაქროს მოხუცებული მამის მისვლა ბატონთან შვილის გამოსათხოვად.

მოქმედები: მთლიანად დრამატული სცენის სახით მიმდინარეობს. პერსონაჟები — მამა და ბატონი — სიტყვიერი მოქმედების ანუ დიალოგის ფორმით ავლენენ თავიან სახე-ხასიათს. მოქმედების კულმინაცია: ზაქროს მიერ ბატონის მოკვლა და მოხუცის სიკვდილი.

კვანძის გახსნა: ბოლო სურათი. „...ზაქრო მწუხარედ პირქვე დაეცა დაღუმებული. დიდ ხანსა ეგდო ეგრე მღუმარედ გულში ვაების ცეცხლმოდებული. ამ საწყალს შვილზედ კაკოც შეწუხდა, ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა“.

ამ ორი გამჭოლი სიუჟეტის ერთიანობა ჰქმნის მთლიან კომპოზიციას, სტრუქტურას, რომელსაც ეწოდება პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩალის ცხოვრებიდამ“. ცხადია, ყველაფერი ეს წესრიგში მოჰყავს პოეტის იდეას: „ჩვენი წალილი, ჩვენი იმედი ყოველთვის, ძმაო, არის საფრთხეში, გლეხებისა და ყმის ლიტონი ბედი ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში...“ ან: „მაგრამ იქ ყველა გვიაღვილდება, სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!...“

როგორც ყველა დიდი შემოქმედის თხზულება, ილიას ეს პოემაც ეპოქის კულტურის, ეპოქის მხატვრული, ინტელექტუალური დონის მონაბოგარია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 28.1.1983)

ИСТОРИЯ ЛИТЕРАТУРЫ

Б. К. БАРДАВЕЛИДЗЕ

КОМПОЗИЦИЯ ПОЭМЫ И. ЧАВЧАВАДЗЕ «РАЗБОЙНИК КАКО»
Р е з ю м е

Исследование фабульной и сюжетной специфики поэмы показывает, что в ее композиции выделяются две «сквозные» сюжетные линии, которые можно условно назвать «Эпизод из жизни Како» и «Рас-



сказ Закро». Каждая из этих линий имеет свои классические **сюжетные** компоненты: экспозицию, завязку, действие и развязку. Сочетание этих линий создает композицию (структурную) поэмы «Разбойник Како».

HISTORY OF LITERATURE

B. K. BARDAVELIDZE

THE PATTERN OF I. CHAVCHAVADZE'S POEM "KAKO THE BRIGAND"

Summary

A study of the plot and design specificity of the title poem has led the author to the identification of two “pervading” plot lines which can be tentatively called “An Episode from Kako’s Life” and “Zakro’s Story”. Each of these lines has its classical plot components: exposition, plot, action, and dénouement. A combination of these lines makes for the composition (structure) of the poem under study.



მ. ნახუციშვილი

ხასიათი, როგორც მჩატვრული სახე

(წარმოადგინა აკადემიულმა გ. ჭიბლაძემ 13.1.1983)

ტერმინი „ხასიათი“ როგორც ლიტერატურაში, ისე ნებისმიერ მეცნიერებაში, ნასესხებია სასუბრო მეტყველებიდან. ეს უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ იგი ერთსა და იმავე კონტექსტში ხშირად სრულიად განსხვავდებული მნიშვნელობით იხმარება. მართალია, ხასიათს ესთეტიკურ პრობლემებთან კავშირში დაწყებული ანტიკურობიდან (არისტოტელე, ოეოფრასტე) არაერთი მეცნიერი შეხებია, დღემდე ლიტერატურის მცოდნეობაში მაინც არ არსებობს ის ერთიანი ცნება, რაც ხასიათს გამოარჩევდა პერსონაჟის, გმირის, ტიპისაგან. რა თქმა უნდა, მკვეთრი ზღვარის გავლება და მათი რა-დიკალური გამიჯვნა ყოველთვის არ ხერხდება (რამდენადაც თითოეული მათვანი ნაწარმოების მოქმედ პირს გამოხატავს), მაგრამ რადგან ტერმინები განსხვავდება, საჭიროა ამ მონათესავე ცნებების გარკვეული დიფერენცირებაც. ჩვენი მიზანია: 1. გავმიჯნოთ ხასიათი, როგორც მხატვრული სახე, ყოველდღიურობაში თუ მეცნიერების სხვადასხვა სფეროში გამოყენებული იგივე ტერმინისაგან; 2. დავადგინოთ სპეციფიკური ნიშნები, რაც გამოარჩევს ხასიათს (უკვე მხატვრული ნაწარმოების ფარგლებში) პერსონაჟის, გმირის, ტიპისაგან.

ჭეშმარიტად ღირებული მხატვრული ხასიათის შექმნა მოითხოვს მწერლის მთელი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა მეცნიერების (განსაკუთრებით კი ფსიქოლოგიის) მიღწევების გათვალისწინებას. ამ გაგებით, მართალია ხასიათი ერთგვარიად „შემაერთებელი რგოლის ფუნქციას ასრულებს ცხოვრებისეულ სინამდვილესა და ლიტერატურას შორის“ [1], მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს — ლიტერატურულ ხასიათსა და ფსიქოლოგიურ, სოციალურ თუ ეროვნულ ხასიათებს შორის ის მიმართება შეიძლება არსებობდეს, რა კავშირიცა მხატვრულ სახესა და რეალური ცხოვრების ფაქტებს ან მეცნიერულ ცნებებს შორის. მხატვრულ ლიტერატურას თვისი კვლევის საგანი და მეთოდები აქვს. ამიტომ, ლიტერატრის კვლევისას საჭიროა ყოველივე ეს გავითვალისწინოთ.

ამგვარად, როდესაც ლიტერატურის მცოდნეობაში მხატვრული ნაწარმოების ხასიათზე ვმსჯელობთ, ვგულისხმობთ მხატვრულ სახეს, როგორც ერთიან ფენომენს. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ იგი, საჭიროა დავადგინოთ მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი, სპეციფიკური ნიშნები. წინასწარ უნდა აღვნიშნოთ: პერსონაჟები ფონს ქმნიან ხასიათის გამოსავლენად, თუმცა თითოეული მათგანი საკუთარ თავში პოტენციურად შეიცავს ხასიათად განვითარების შესაძლებლობას. ტიპი თავისავად ხასიათიც არის (და, რა თქმა უნდა, არა პირიქით); ასე რომ, ტიპურობის საკითხი საჭიროებს დამატებითი მასალის მოხმობას, რაც ამ შემთხვევაში, ჩვენი ინტერესების სფეროს სცილდება. შეპირისპირების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ გმირზე. მასთან პარალელის გავლება ხასიათისთვის დამახასიათებელ ნიშნებს უფრო თვალსაზრისიდ გამოკვეთს. აქ წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ ერთი



ფაქტორი: რენესანსის ეპოქამდე გმირი მხოლოდ დადებითი გმირისა მართველი ლობით იქმარებოდა და მისი ღირსებაც „საგმირო საქმეებით“ განისაზღვრული დოდა. მკითხველისათვის კი, წინასწარვე გარკვეულად ცნობილი იყო მისი მოქმედების ჩარჩოები. შესაბამისად, ნაწარმოების სუურეტიც რამდენადმე გამორჩეული უნდა ყოფილიყო. გმირის შინაგანი სამყარო არანაირად არ შეიძლებოდა წარმოსახულიყო, თუ არა მისი მოქმედებით. ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ჰეგელი აღნიშნავს თავის „ესთეტიკაში“, „ნამდვილი ხასიათი თვით მოქმედებს და სხვას უფლებას არ მისცემს მის სულში შეიჭრას“ [2]. როგორც ვხედავთ, საკუთარი თავის მოქმედებაში გამოვლენა არის გმირისა და ხასიათის საერთო ნიშანი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ თვით „მოქმედების“ შინაარსია განსხვავებული. ეპიკური გმირის მოქმედების არჩევანის თავისუფლება რამდენადმე შეზღუდულია. ამ გავებით, ის, როგორც „ლიტერატურული გმირი“, თავისუფალი არ არის, რასაც განაპირობებს თვით საგმირო ეპოსი წარმოშობისა და განვითარების სპეციფიკა.

მოქმედება ჰეგელთან გაშლა-განვითარებაა, რომელსაც აქვს თავისი სიფრენორები: 1. სამყაროს საერთო მდგომარეობა; 2. სიტუაციები და მისი კოფლიქტები; 3. საკუთრივ რეაქცია, რომლის მიხედვითაც აშკარავდება ბრძოლა. როგორც ვხედავთ, რეაქცია ბოლო მომენტია, რომელიც ძირითადად კონფლიქტურ სიტუაციაში იჩენს თავს და ხასიათის გარკვეულ ნიშანს გამოავლენს. ხასიათის სისრულისათვის, საჭიროა იგი მრავალგვარ სიტუაციაში შეიჭრას.

ხასიათთა განვითარება ნაწარმოებში თანდათანობით ხდება, მისი ლოგიკური დასრულება კი დამოკიდებულია ცალკეულ სიტუაციათა მხატვრულ სრულყოფაზე, რასაც, თავის მხრით, საფუძვლად უდევს ფსიქოლოგიური სიმართლე.

ამგვარად, ისტორიის სარბიელიდან რაინდი გადავიდა და მისი ადგილი დიდი სოციალური და ტექნიკური ძერების შედეგად „ახალმა ადამიანში“ დაკავა. XIX საუკუნის ახალ რომანში „გმირმა“ სამყაროსადმი უკვე განსხვავებული პოზიცია მიიღო. სინამდვილე აღარ ითვლება მისთვის მხოლოდ საასპარეზო სარბიელად. ცხოვრება ყოველ წუთში შეახსენებს მას, რომ იგი ერთია მრავალთა შორის.

ა. განვირელია თავის ერთ-ერთ წერილში ხაზს უსვამს ორ მეტად საგულისხმო ადგილს ლ. ტოლსტოის 1898 წ. დაწერილი დღიურიდან: 1. „ახალ პროზაში ამბებისადმი ინტერესს ცვლის თავისთავში გრძნობებისადმი ინტერესი“; 2. „თოთოეული ადამიანი თავისთავში ატარებს ყველა ადამიანურ ჩანასახს და ზოგჯერ ასელავნებს ერთს, ზოგჯერ მეორეს და ხშირად ხდება, რომ სულ არ ჰვავს თავისთავს“... ხასიათის მრავალსახეობას (რის გამოც იგი სტატიკურ ფარგლებში არ თავსდება), ტოლსტოი უწოდებს „ადამიანის დენადობას“ [3]. ადამიანის სულის დიალექტიკის ასახვა მთელი ნაწარმოების მანძილზე განპირობებებს ხასიათის არებობას. ეს არის ხასიათისა და გმირის მოქმედების განმსხვავებელი მომენტი. ხასიათის „შინაგანი დაალექტიკა“ ერწყმის თვით რეალიზმს, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის განვითარების ხაზს. ამ გებით „გმირი იხსნება“ და მის ადგილს რეალისტურ ნაწარმოებში იჭერს დადებითი, უარყოფითი, ან მთავარი გმირი.

გარკვეულ სიტუაციაში პიროვნების თითოეული ნაბიჯი, ყოველი კონკრეტული საქციელი მისი, როგორც მთლიანის გამოვლენის ერთი საფრენოა. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მრავალ ნიშან-თვისებათა შორის რომელიმე გარკვეული თავისებურება არის ის მამოძრავებელი დერძი, რომლის ირგვლივაც თავს იყრის მისი სუბიექტური მხარეები. სიუჟეტის სქემას თუ ხასიათს დაუკავშირებთ, დაგინახავთ — მის თვითდასრულებას სწორედ ეს ცენტრა-

ლური ნიშანი განაპირობებს და იგი უმეტესწილად მოქმედების განვითარებას კულტურული ემთხვევა.

გ. ჯიბლაძეს ხელოვნების სახე შედარებული აქვს ლოგიურ კატეგორიასთან, რომელშიც „არა მარტო მყლავნდება და მოკიდებულება, არამედ სახე ამავე ღროს თვით არის დამოკიდებულება“ [4]. ავტორის ამ მოსაზრებისა და ჩვენი მსჯელობის საფუძველზე ხასიათს, როგორც მხატვრულ სახეს, შემდეგნაირად განვმარტავთ: ხასიათი არის მხატვრული სახე ნაწარმოებში იმ კერძო ინდივიდის გამოსახატავად, რომელიც ცალკეულ, კონფლიქტურ სიტუაციებში გამოვლენილი რეაქციების სახითა და მწერლის მიერ ზუსტად შერჩეულ დეტალზე აქცენტირებით, მრავალმხრივ გვიჩვენებს თავს, თავის სულიერ შესაძლებლობებს და სრულდება ერთ მთლიანობად იმ ძირითადი ნიშნის მიხედვით, რომელიც მისოვის განმსაზღვრელია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული

ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 21.1.1983)

ФИЛОЛОГИЯ

М. Г. НАХУЦРИШВИЛИ

ХАРАКТЕР КАК ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ОБРАЗ

Резюме

Определяя характер как художественный образ, мы устанавливаем литературоведческое значение этого термина. Отграничиваая его от других возможных значений, выявляем специфику данного понятия в рамках литературоведческой науки, отмежевывая его от понятия персонажа, типа героя. В итоге мы даем следующее определение: характер является художественным образом, который в согласии с идеей писателя и в соответствии с каким-либо одним определяющим признаком в конкретных ситуациях проявляет отличающиеся целостностью духовную силу и личностные реакции.

PHILOLOGY

M. G. NAKHUTSRISHVILI

CHARACTER AS AN IMAGE

Summary

In order to define "character" as an image it is necessary to determine the literary meaning of the term, distinguishing it from its non-literary use; then the specific features of character in fiction are identified (as compared to personage, type, hero). As a result the author suggests the following



definition: Character is an image which gradually reveals itself through its reactions in different kinds of situations and according to the writer's principal idea unfolds itself to the reader as a complete unit.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. С. Г. Бочаров. Сб. «Теория литературы». М., 1962, 313.
2. ჯგული. ესთეტიკა, ტ. I. თბილისი, 1973, 278.
3. ა. გაწერელია. საუნდე, № 4, 1978, 173.
4. გ. ჭიბლაძე. პოეზიის მხატვრული სახეები, ნაწ. III. თბილისი, 1959, 368.



ფილოლოგია

ნ. ნადარაძა

გ. ძიქოძის ორატორული პროზის ზოგიერთი მხატვრული
თავისებურება

(წარმოადგინა აქადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ციციშვილმა 3.2.1983)

გ. ქიქოძე მე-19 საუკუნის ქართული ორატორული პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შემოქმედება ქართული მჭევრმეტყველების მდიდარი ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელია და გამოიჩინება ოქამატური მრავალფეროვნებით. გ. ქიქოძის ორატორული პროზისათვის დამახასიათებელია ღრმა პოლიტიკურ-ეროვნული საკითხების თანმიმდევრული დამუშავება, მათგრი მამხილებელი ხასიათი, პუბლიციზმი. საყურადღებოა გ. ქიქოძის შემოქმედება მხატვრული კუთხითაც.

გ. ქიქოძის პოეტური მეტყველება მრავალფეროვანი მხატვრული საშუალებებით ხასიათდება. პოეტური ტროპები თუ ფიგურები, როგორიცაა გრადაცია, რიტორიკული მიმართვა, შეძახილი, გამეორება, ემთაზა, ანაფორა, რეფრენი, შედარება და სხვა, ერთ ორატორულ სიტყვაში ურთიერთონაცვლეობენ, ქმნიან თავისებურ მხატვრულ სურათს. ამ გზით სიტყვის მხოლოდ ემოციური ძალის მიღწევა ორატორის თვითმიზანს არ შეადგენს, საერთოდ მის შემოქმედება მხატვრული ორნამენტირებით ზედმეტი გატაცება არ ახსიათებს. გ. ქიქოძის არსებოთ ამოცანას მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებით სიტყვის მორალური ზემოქმედების გაზრდა წარმოადგენს [1]. ეს უკანასკნელი კი გაპირობებული იყო ორატორული პროზის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებით — *მსმენელის ზენებრივი სახის გამოსწორებისათვის ზრუნვით.

აღსანიშვნავია ისიც, რომ ანტიკურმა ორატორულმა პროზამ დიდი როლი ითამაშა ქრისტიანული ორატორული პროზის განვითარებაში. თავის მხრივ, ქრისტიანულმა ორატორულმა პროზამ აირევდა ქრისტიანული მსოფლგაგებიდან გამომდინარე ზენებრივ-ეთიკური და მხატვრული პრინციპები, რომლის გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება ორატორული პროზის უანრული სპეციფიკის, კომპოზიციური თუ სტილური ნიშნების გამოვლენა. ცხადია, გ. ქიქოძე ძირითადად ეყრდნობა ორატორულ პრატიკაში კანონიკურად მიჩნეულ მხატვრულ-სტილურ მოთხოვნილებებს, მაგრამ ასეთი ერთგულების მიუხედავად, ყოველ სიტყვას ორატორი აძლევს თავისებურ მხატვრულ გამომსახველობას. სწორედ აქ იჩენს გ. ქიქოძის როგორც შემოქმედის ნიჭი და ინდივიდუალური ხელშერა.

ქრისტიანული რელიგიის მოთხოვნებზე აგებული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი კომპოზიციის ერთი წამყვანი პრინციპი, კერძოდ, კონტრასტულობა, დამახასიათებელია ორატორული პროზისათვისაც. ამ პრინციპს საფულევლ უქმნის ქრისტიანულ მსოფლგაგებაში სიკეთისა და ბოროტების, ზეცისა და მიწის, მარადიული და დასაბამიერი ღროს დაპირისპირება. გ. ქიქოძე ამ მხატვრული ხერხით სარგებლობს, როცა საჭიროა ამა თუ იმ მანქიერების ჩვენება. ეს კი ხორციელდება ბიბლიური გმირის საჯუილთან თანამედროვე საზოგადოების ზენების დაპირისპირების გზით. მხატვრული აზროვნების



ბინალურობა ქმნის, នა თქმა უნდა, პროზის თავისებურ რიტមს, კომპოზიციურ შინაგან კონტრასტულობას [2]. ქედან გამოდინარეობს პარაलელ-კონტრასტების, ამ მხატვრული ფიგურის სიჭარბე გ. ქიქოძის ორატორულ პროზაშიც. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა „სიტყვა ჯვარცმის გარდამოხსნას ზედა“ [1]. ეს ორატორული სიტყვა მთლიანად დაპირისპირების ხერხითა აგებული ამასთანავე საინტერესოა იმითაც, რომ თხრობა მთლიანად ჰირველ პირში წარმოებს. უფრო ზუსტად, ავტორი ცდილობს ჯვარცმის, ქრისტეს ვნების მთელი სიმძაფრე გაღმოსცეს ქრისტეს მოსალოდნელი სიტყვებით, რომელსაც იგი იტყვის, როდესაც „წარმოუდგება განულვიძებელი ცოდვილი“:

მე თქვენ შეგიყვარეთ და თქვენ მომიძულეთ

მდევნიდოთ, მკიცხავდით, მგმობდით,

მე თქვენთვის ვიწნე, მე უბრალო ვიყავი, გარნა მივიღე ჩემ თავზე ცოდვა ყოვლისა კაცისა....

მე შევიწირე ჩემი თავი მსხვერპლად, თქვენ მაინც შეიყვარეთ მონება ცოდვისა, მე დავათხიო სისხლი, ერთი წვეთი ჩემი სისხლისა საკმაო იყო განბანად მთელი თქვენი ცოდვისა, გარნა თქვენ არ უყურებდით ჩემს ოფლსა, ჩემთა ცრემლთა, ჩემს სისხლსა. ახლა რომლისა სასხელის ლირისი არა ხაზ თქვენ?“. ავტორი არ ასახელებს ცოდვილს. ცოდვილი ყველა მსმენელთაგან შეიძლება იყოს, ქრისტე ყველას მიმართვს და ამ მიმართვას რეფრენად გასდევს სიტყვები — მე და თქვენ. გამეორება ამ სიტყვებისა დაპირისპირების შეგრძნებას ქმნის. ერთი მხრივ, ქრისტეს ვნება, მეორე მხრივ, ცოდვა ადამიანისა. ქრისტიანული მსოფლაგებით ყველა ადამიანი ცოდვილია. ქრისტემ იჭნ და იწამა მათვის — ადამიანისათვის. ამიტომაც ბუჟნებრივია, რომ ქრისტეს ამ წარმოსახვით მიმართვაშიც ნაგულისხმევია ზოგადად ადამიანი და ამასთანავე თანამედროვე მსმენელი. ანაფორული წესით აგებული წინადადებები ემფაზის შესანიშნავ ნიმუშსაც წარმოადგენს, ამასთანავე მიმართვის ხშირი გამოყენება სიტყვის ამ მონაკვეთს ემოციურ ძალს მატებს. სხვა ორატორულ სიტყვაში კი [3] კონტრასტულობა ვლინდება სხვადასხვა დონეზე: ორატორული სიტყვის „გმირთა“ საპირისპირო ქცევებში, მათდამი ავტორის საპირისპირო დამოკიდებულებაში, ხაზებაში საპირისპირო ტროპებშიც (უწმიდესი არ არა, უბედური იუდა, მოხუცებულნი თრგულნი, უმართლო მსაჯული და სხვა).

ორატორული პროზისათვის ასევე წამყვანია ვეღრება და დოქსოლოგიური დასასრული. ქრისტიანული რწმენის მიხედვით, რადგან ჩენ ყოველი უფლისაგან გვაძეს, ამიტომ უფალს უნდა ვთხოვოთ შეწევნა ყველა საქმეში, რაზედაც არ უნდა იყოს ლაპარაკი ორატორულ სიტყვაში, ე. ი. გ. ქიქოძის ორატორული სიტყვის დასრულება ვეღრებით ან დოქსოლოგიური დასასრულით ქრისტიანული ორატორული პროზის კანონიერ მოთხოვნილებას პასუხობს: „მაცხოვარო ჩვენ, ჩვენთვის ჯვარცმულ შენვე განაცოცხლე ჩვენ შორის გრძნობა დიდისა შენისა მსხვერპლისა, რომელი შესწირე ჩვენთვის“ [1]. ეს მოთხოვნა უფლისადმი მიმართვა-ვეღრების სახით ხორციელდება.

ორატორული პროზის პრაქტიკაში ძალზე ხშირია რიტორიკული შეკითხვის ვამოყენება. ეს ფიგურა მხილებით ნაშილს ესადაგება. გ. ქიქოძე ერთ-ერთ სიტყვაში [3] ბატომოყვარეობას ამხილებს და ძირითად ხერხად რიტორიკულ შეკითხვას იყენებს: „რა იყო ამდენი შფოთისა და ამბობის ლირსი? ნუთუ ერთი მტკაველი სირმა, რომელსაც დაგაკერებენ მხრებზე, ლირს იმად, რომ კაცმა თავისი მამული დახარჯოს, ან სასოწარყვეთილებაში შთავარდეს. კარგი! ვსოდეთ იშვენე ბოლოს, რასაც ამთვენის ამბობის და ჭირით ეძიებდი, ჰორი, საცოდაო, ამაოებით აღვსილო კაცო! აშ მითხარ, რა მოგემატა? ჰკუ



მოგემატა? სათნოება და ზნეობა გაგიკეთდა? ტანის სიმრთელე მოგემატა?“ ეს ხერხი მართლაც რომ კარგი საშუალებაა, პატივმოყვარეობას ჩაუფიქრდეს მსმენელი, ამ მხილების აღრესატად საკუთარი თავი იგულისხმოს და დაგმოს ეს მანჯიერება. ორატორული სიტყვის ერთ-ერთ მიზანსაც ხომ ზნეობის გამოსწორება შეადგენს.

გ. ქიქოძის ორატორული პროზის მხატვრულ თავისებურებას შეადგენს ისიც, რომ ორატორი ხშირად მიმართავს გაშლილ, გაკრობილ შედარებას, თითქოს იმისათვის, რომ შესაძარებელი საგანი ყოველი მხრივ იქნეს გაანალიზებული და დახსასიათებული. გ. ქიქოძე არაერთხელ მოუწოდებს მსმენელს შრომისმოყვარეობისაკენ, და მასზე აფუნქნებს საქართველოს მომავალს, წინსკლას. ამ თვისების ღირსების უკეთ წარმოსაჩენად კი კაცის შრომისმოყვარეობას ფუტკრის შრომისმოყვარეობას ასე აღარებს: „ფუტკარმა რომ იფიქროს ერთი ჩემი თაფლის წვეთი რას იქმნის და თავი დაანგაბოს თაფლის ძებნას, მაშინ მთელი სკა დამშივდება. რაც შეგიძლია, ძმაო ის ჰქმენი, უმთავრესი საქმე და ღირსება აქ ის არის, რომ შრომისმოყვარეობა გქონდეს, ქვეყნის წარმატება გსურდეს და რაც შეგიძლია, კიდევ შეეწეოდე მას“ [1].

ორატორი ხშირად მიმართავს დიატრიბის: ეს მხატვრული ხერხი შინაგანი დიალოგურობის შეგრძნებას აცხოველებს. აღსანიშნავია, რომ დიატრიბა თავდაპირველად ლიტერატურულ უანრს წარმოადგენდა და ქრისტიანული ქადაგების ლიტერატურულ საფუძვლად იქცა [4]. ფარული ორგმნიანობა, წარმოსახული ოპონენტებს სიტყვების ირონიული იმიტირება დამახასიათებელი დიატრიბისათვის. მოსაუბრე წარმოადგენდა თავის წარმოსახულ მეტოქეს, მერე კი პასუხობდა მის კითხებებსა და საჭინააღმდეგო არგუმენტებზე. ეს ფორმა — დიალოგიზებული მონოლოგი — იძლევა დასკვნის გაკეთების, სათანადო დარიგების გამოტანის საშუალებას: „შენ ხარ ძმაო, ერთი ხელმწიფის მოსამსახურე ანუ ჩინოვნიკი და საუბედუროდ ქრთაშ იღებ. სვინდისი კი გამჩილებს, რომ არ ვარგა ეს, მაგრამ შენ ესრეთ ასუმებ მას, რა ვენა ცოტა ჯამაგირი მეძლევა, ცოლშვილს ჩენან უნდა, სხვანი ჩემზე უარესად იღებენ, სუკველანი ასრე შერებიანო. მე მართალ მხარეს მაიც გემსახურები, სხვანი მართალ და მტყუან მხარეს გამოგლეჯენ“. ან სხვა მაგალითი: „შენ ხარ ერთი მოვაჭრე კაცი. მოვიდა შენთან ერთი გამოუცდელი მუშტარი და შენ ნაცვლად კარგისა საქონელისა მიატყუ მას ცუდი, დამბალი. სად ჰქონდა თვალი, რატომ არ გასინჯა. მე ვაჭარიც მისთვის ვარ, რომ ფული უნდა მოვიგოვო“. ოპონენტის აზრი გასაგებია. ამას მოსილებს თვით ავტორის შეფასება: „ფარისევლობ კველგან, როდესაც იომენ შენ გულში სიყალებესა და სიცრუესა და არა ისე ლაპარაკობ, როგორც მოითხოვს შენი სეინდისი და ჰქუა, არამედ სიცრუით და სიყალებით“ [1]. აქ მართლაც ორი ინტონაციაა, ორი აზრი იყითხება. ამით მას საშუალება ეძლევა ორი აზრი, თავისი და სხვისი, შეაგეროს ერთმანეთს და რაც მთავრია მსმენელის „თვალშინ“ მოახდინოს ეს შეჯრება და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანოს მორალი, დარიგება, რაც არის დიატრიბის გამოყენების ძირითადი მიზანი.

გ. ქიქოძე ორატორულ სიტყვას მეტ ემოციურ-გამომსახველობით ძალას აძლევს შეცვალობითი სილციაციის შექმნით, ფერტერული სურათის სიქარბით. აი, როგორ არის ეს მიღწეული ერთ-ერთ სიტყვაში: „შეხედეთ, უფალი ჩვენი და მაცხოვარი ჩამოყალებულია ჯვარზე. ვინ იყო მიზეზი ამისა? მისი საკუთარი მოწაფე. იუდამ გასცა იგი. მტერიც არ უნდა გაიმეტოს კაცმა იმ სახით და აქ, საკუთარი მოწაფე და მოციქული ახალ ნაზიარები ხელისაგან უფლისა, ამბორის ყოფილ გასცემს მას. მაცხოვარი ჰქიდია ჯვარზე დატოვებული, დაგდებული... იესო ქრისტე, ლურსმნებით მიკრული ძელზედ,



ჩამოყიდებული რეინებზე, თავი ეკლის გვირგვინით გასისხლიანებული, გვერდი გაპობილი ისრითა“. [3]. ამ მოვლენის უშუალობა არამარტო სურათის დრამატულად წარმოდგენით, მხედველობითი ასოციაციების შექმნით არის მიღწეული, არამედ იმითაც რომ ეს აქტი — ჯვარცმა — ახლანდელ დროშია წარმოდგენილი.

გ. ქიქოძის მიერ გამოყენებული პოეტური ტროპები და ფიგურები მის ორატორულ პროზას ემოციურ-გამომსახველობით ძალას სძენს, ხელს უწყობს მის ზნეობრივ-მორალურ და მხატვრულ ზემოქმედებას. ამიტომაც თვალსაჩინოა გ. ქიქოძის ორატორული პროზის მხატვრულ-შემცენებითი ღირებულება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 24.2.1983)

ФИЛОЛОГИЯ

Н. К. НАДАРАЯ

НЕКОТОРЫЕ ХУДОЖЕСТВЕННЫЕ ОСОБЕННОСТИ ОРАТОРСКОЙ ПРОЗЫ Г. М. КИКОДЗЕ

Резюме

Творчество видного представителя грузинской ораторской прозы 19-го в. Г. М. Кикодзе характеризуется многообразием художественных средств, таких поэтических тропов и фигур как градация, риторическое обращение, повтор, эмфаза, анафора, рефрен, сравнение, диатриба и т. д. Используя эти поэтические средства, он усиливает моральное воздействие слова на слушателя, что и является главной целью христианской ораторской прозы.

PHILOLOGY

N. K. NADARAIA

SOME ARTISTIC PECULIARITIES OF G. KIKODZE'S ORATORICAL PROSE

Summary

The works of G. Kikodze, a notable representative of 19th century Georgian oratorical prose, are characterized by a diversity of artistic peculiarities, such as gradation, rhetorical question, reiteration, address, emphasis, anaphora, refrain, simile, diatribe, creating a peculiar artistic vision. Using these poetical devices, he strengthens the moral impact on the listener, which is the aim of Christian oratorical prose.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. გ. ქიქოძე. ქადაგებანი, I. ქუთაისი, 1913.
2. Д. С. Лихачев. Поэтика древнерусской литературы. М., 1967, 120.
3. გ. ქიქოძე. ქადაგებანი, II, ქუთაისი, 1913.
4. С. Аверинцев. Поэтика ранневизантийской литературы. М., 1977, 102.

უДК 8—1—9.14 (894.631)

ცილილოგია

ზ. ცხადაია

ირაკლი აბაშიძის პომიტიკის ზოგიერთი თავისებულება

(წარმოადგინა აკადემიუსმა შ. ძიძიგურმა 30.3.1983)

XX საუკუნის საბჭოთა პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენლის ირაკლი აბაშიძის პოეტიკის თავისებურებას ბევრი ჩვენი მკულევარი შეეხო, მაგრამ მნიშვნელობად ეს საკითხი აქვთდე შეუსწავლელია. ამ რთულ მოცანას ამჟრად ვერც ჩვენ ვკისრულობთ, შევეცდებით მხოლოდ, პოეტის შემოქმედებითი ევოლუციის ფონზე ყურადღება მივაპყროთ ზოგიერთ სპეციფიკურ ნიშანს.

ირაკლი აბაშიძემ 30-იან წლებში, ერთ-ერთმა პირველმა, დასძლია საბჭოთა პოეზიაში გვარცელებული პათეტიკური სტილი. მისმა ლექსებმა „ყვავილები ქალაქში“ და „ყველა სიმღერა“ სიახლე მოიტანა ქართულ პოეზიაში. მათში ქარხნისა და ცათმამჯერის გვერდით ადგილი იპოვა ვარდმა და მიმზად, რომელთაც პოეტმა მშვენიერების სიმბოლური გამოხატვის ფუნქცია დაიყისრა. იგი ორიგინალური ეპითეტებითა და შედარებებით ქმნის ფერწერულ სურათებს, რომლებიც მკითხველში აღძრავნ ემოციურ განცდებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზამთრის პეიზაჟის — თოვლის პოეტური წარმოსახვა („განთიადის თოვლი“, „პირველი თოვლის სიმღერა“ და სხვ.). ავტორი ზამთრის პეიზაჟს ფერწერის ხედვით აღიქვამს; პოეტური ასოციაციებიდან გამომდინარე მხატვრული შედარებები ლექსის უშუალო, ძალაუტანებელ ხატს ქმნიან: „დგას ბუჩქები ვერის ბაღში, შემკრთალები, ზედ თოვლია თუ ფრიალი ფაფანკუთა?! ანდა იქნებ ავჭალიდან თეთრ კარვებით ადგა ჭარი და თბილისში დაბანაკულა?!“ პოეტი პეიზაჟს მიმართავს ლირიკული გმირის ხსიათის გასახსნელად. ბუნების მშვენიერი ფონი ამაღლებულს ხდის და ამძაფრებს ლირიკული გმირის სათქმელს, ხატოვნად ხსნის მის სულიერ წყობას, სახეობრივი აზროვნება ორიგინალური, აღსაშემლად ნათელი და ეფექტური ხდება. პეიზაჟი ირაკლი აბაშიძის ლექსებში ზოგჯერ სოციალურ ფუნქციას ასრულებს („გაზაფხული“, „ზღვა“ და ა. შ.).

ირაკლი აბაშიძის სამამულო ომის პერიოდის ლექსებში, როგორც საზოგადოდ მაშინდელ საბჭოთა პოეზიაში, ძლიერად გაისმის მოწოდებითი ინტონაციები. ამასთან, ლექსში „კაპიტანი ბუხაიძე“ ლირიკული გმირის აღსარება-მონალოგი ქმნის ნაწარმოების ძირითად ტონს. მასში გმირის პოეტური სახე გრძნობად-კონკრეტულია, რამაც განაპირობა ლექსის პოპულარობა.

ირაკლი აბაშიძის ომისშემდგომ წლებში შექმნილ პოეტურ ციკლებში: „ყვავის გურია“, „სიმღერა მყის ღროს“ და „მონალირის ღამეები“ ყურადღებას იპყრობს სასაუბრო ინტონაცია.

50-იანი წლების მიწურულიდან ახალი ეტაპი იწყება ირაკლი აბაშიძის პოეზიაში. ციკლში „რუსთაველის ნაკვალევზე“ განსაკუთრებით შთამბეჭდავია „რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში“. ქართულ პოეზიაში ეს ლექსი პოეტური დიალოგის საუკეთესო ნიმუშია, რომელშიც ერთი ზედმეტი, არაპოეტური დეტალიც კი არ არის. ავტორი ფერწერის ოსტატობით ქმნის უკაცრიელი, ყრუ 11. „მომებე“, ტ. 111, № 1, 1983



ტრამალების ფონს რუსთაველის ტრაგიული სულიერი მდგომარეობის წარმატება მოსაჩინად. ლექსის კითხვითი ინტონაცია ამძაფრებს დიალოგს. ამიერიძის კითხვითი ინტონაცია უფრო და უფრო მკვიდრდება ირაკლი აბაშიძის პოეზიაში.

ციკლი „პალესტინა, პალესტინა“ წარმოადგენს ქართული კლასიკური ლი-რეის ტრადიციების თავისებურ გაგრძელებას ფილოსოფიური სიღრმით, პრობლემურობით, აზრის სიმკვეთრითა და სისადავთ. ციკლის წარმატება, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა პოეტის ახლებურმა ხელწერამ. მასში გრძნობა და გონიერა შერწყმულია, ემოციურობა მიღწეულია ლირიკული გმირის განსჯა-დათვიქრებით, პოეტური კითხვებით, ზოგჯერ მრავლისმთქმელი დუმილითაც. მხატვრული სახეები დახვეწილია და ზუსტად გადმოსცემს ავტორის ჩანაფიქრს. ცალკეული დეტალების, მოვლენების ასასახავად მიგნებულია უარესად შესატყვისი ფორმა, აზრი ინტენსიურია და მისგან გამომდინარე ეფექტი ბუნებრივია და უტყუარი.

ციკლის პირველი ორი ლექსი — „შენ აქ ხარ“ და „ვინ იცის, როგორ მელის ვარძია“ — ექსპრესიულად გმოხატავს იმ დიდ სიხარულს, რაც გამოიწვია დიდი წინაპრის უკვალოდ გამქრალი პორტრეტის ხილვამ. პოეტმა ამ შემთხვევაში განაზოგადა მთელი ერის განცდა და ღრმა ემოციური წვდომით გვიჩვენა პირადი თუ მთელი ერის სულიერი მდელვარება. განმეორების ხერხთ აქცენტირებული კომპონენტები („შენ აქ ხარ, აქ ხარ“) სიცოცხლეს ანიჭებს ავტორის ჩანაფიქრს. ლექსის დანარჩენი სტრიქონები — „დასრულდა კვალი“, „მშობელი მიწის ეს მედო ვალი“ და ა. შ. უფრო მშვიდია და დინგი. ხელშესახებ ხატს ქმნიან მეტაფორები: „დამდნარი ცრემლის ზღვა“, „დაშრეტილი ცეცხლი“. მკითხველი უკვე ადვილად ითვისებს ავტორის ჩანაფიქრს და ფიქოლოგიურად მზადაა დიდი წინაპრის სულიერი დრამის აღქმისათვის. ამ ციკლში პოეტი ძირითადად იყენებს ათ- და თოთხმეტმარცვლოვან სტრიქონებს, რაც ადრეც ახასიათებდა მის პოეზიას. განსაკუთრებით ათმარცვლიანი ლექსების სიმრავლე შეინიშნება ირაკლი აბაშიძის შემოქმედებაში, მაგრამ ზუსტად მიგნებული, ლირიკული გმირისთვის შესაფერი ინტონაცია „პალესტინის“ ციკლში სრულიად ახლებურ ჟღერადობას ანიჭებს მის ლექსებს. პოეტური აზროვნება აქ უფრო მეტაფორულია. ემოციურ-გამომსახველობითი ძალა აქვს მეტაფორულ სახეს: „დიდი ზაფხული“, რომელიც ამ შემთხვევაში აზრობრივი სისავსის, სრულქმნის სიმბოლოა.

„პალესტინის“ ციკლში განსაკუთრებული მნაშვნელობის ლექსია „ხმა-კატამონთან“. იგი ავგირგვინებს რუსთაველის გენიალურ პოეტურ ხატს, რომელზედაც სამარადისოდ აღბეჭდილა მშობლიური ენის სიყვარული. პატრიოტული გრძნობა აქ უფრო ემოციურია, ლექსის დინამიკა ძლიერდება, ინტონაცია ავლენს აღმსარებლისა და ავტორის განცდას. ციკლის ლირიკული გმირის აღსარება-მონოლოგი ღრმად წარმოგვიჩენს ერის სულსა და მის ფსიქიურ წყობას. პოეტი უხვად იყენებს შედარებებსა და ეპითეტებს ენის დადების გამოსახატავად: ენა არის „საფიცარი“, „სახატე“, „სალოცავი“, „ტებილი სევდა“, „აკვნის ჰიმნი“, „სამარის ცრემლი“, „აღმაფრენა“ და ყოველ, რაც ერის ფიზიკურ და სულიერ არსებობას გამოხატავს.

რუსთაველის სულიერი ტანგვის მხატვრული განსახოვნება მიღწეულია სრულყოფილი ფრაზებით, სინონიმურ სიტყვათა მონაცემებით, განმეორებებით, პოეტური კითხვებით და სხვ. ციკლს აქვს ერთიანი კომპოზიცია, მაგრამ ცალცალკეც თითოეული ლექსი სრულია და დამოუკიდებელი. აქ ყოველი სიტყვა დამუშატულია აზრობრივად, ფერადოვანია და იწვევს მძაფრ ემოციებს. ტონალობა ციკლისა ნოვატორულია, რითმები კეთილხმოვანია, შედა-



ჩემი, ეპითეტები და განსაკუთრებით მეტაფორები — ორიგინალური; სტილური დახვეწილია. მხოლოდ უცილებელ შემთხვევაში მიმართავს აცტორი არქაულ ფორმებს და ეს სავსებით შეეფერება რუსთაველის ლექსიკას.

ირაკლი აბაშიძის ლექსი „ხმა კატამონთან“ (ლექსების ციკლიდან „პალესტინა, პალესტინა“), როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურულში, ენობრივი ჰიმნია, რომელიც ჩვენი მწერლობის ისტორიაში განსაკუთრებულ დღის დაიჭირს, როგორც მხატვრულ სახეებში გამოთქმული ქება მრავალსაუნოვანი ქართული ენისა.

ირაკლი აბაშიძის პოეზიაში დომინირებს თანამედროვე პრობლემები; შემოქმედების ადრეულ პერიოდში პოეტის ეროვნული განცდა მუღლენდებოდა უმთავრესად ცალკეული გმირების მოქმედებაში, კონკრეტულ სახეებში, თანამედროვე ეტაპზე იგი გამოხატულია განზოგადებულად. თუ აღრე სამშობლზე შეკვარებულ ლირიკულ გმირს ასახიერებდა ახალი ქვეყნის პირველი შენებელი კომეკშირული ახალგაზრდობა — მუშა, ან ბრძოლის ველზე დაცული რაინდი, ახალ ლექსებში ეს განცდა პოეტის ლირიკულ „მე“-შია სინუზირებული.

ირაკლი აბაშიძის ამ პერიოდის ლექსებისათვის დამახასიათებელია სიკვდილ-სიცოცხლის გაზრება, ტექნიკური რევოლუციის ფონზე აღმიანის ბედნება დაფიქრება, ზრუნვა მის მომვალზე. პოეტიკის ოვალსაზრისით ავტორი მიმართავს მისთვის ნაცად პოეტურ ხერხებსა და საშუალებებს. განსაკუთრებით ნიშანდობლივია სტრიქონთა და სინონიმურ სიტყვათა განმეორებები. ამით უფრო აძლიერებს ლექსის ემთციურ და შემცენებით მხარეს („ქარები რიონის ხეობაში“, „ჭომა“, „მაშ შენ ხარ, მუზა“, „ცოტაც და უკვე“, „წინ, საქართველო“, „როგორც დათხება“ „იწვის აპრილი“, „ქალაქი ხონი“, „ფერადი შემოდგმა“ და სხვ.).

შემოქმედებს ამ ეტაპზე ირაკლი აბაშიძის ლექსებში კვლავ ოსტატურად გაიღლებს ოვალისა და გაზაფხულის სახეები, მაგრამ უფრო ხშირად პოეტი მიმართავს შემოღვიმის პეიზაჟს. მას თითქოს თავის ბიოგრაფიაში შემოყვავს შემოღვიმის ფერი: „ახლა დამშვიდდი, ახლა დამშვიდდი, სადმე სამგორის, სადმე სამშვილდის მთებში მონახე პატარა ქოხი... და შენი წილი ორი დღე-ღამე შენ შემოღვიმის ფერს შეეხამე ჩალისფერ ჩოხით, ბამბუკის ჯოხით“.

ირაკლი აბაშიძის ბოლო პერიოდის მრავალ ლექსში ისმის მარადიული յოხეგა „ყოფნა-არყოფნის“. „გზა უკვდავების, თუ გზა დაღუპვის, გზა აზრის ბეჭელის, აზრის ბრწყინვალის“ პოეტს განვიტრეტილი აქვს გონების ოვალით. ფილოსოფიური ხასიათის ლექსებში დამახასიათებელია სიმბოლოები, ალეგორიები, კითხვითი ინტონაციები, რომლებიც ასე დამახასიათებელია ავტორის პოეტიკისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 29.4.1983)

ФИЛОЛОГИЯ

3. В. ЦХАДАЯ

НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ ПОЭТИКИ ИРАКЛИЯ АБАШИДЗЕ

Резюме

В работе проанализированы особенности поэтики Ир. Абашидзе. Начиная с тридцатых годов поэт выступал против декларативно-риторического стиля, утверждая специфику лирики стихосложения. В те годы для поэта пейзаж являлся одним из главных средств выра-

жения идейного смысла стиха и достижения наивысшего художественно-эмоционального эффекта.

Качественные изменения произошли в творчестве Ир. Абашидзе к концу пятидесятых годов; он использовал специфические поэтические приемы, обращается к чередованиям синонимных слов, применяет повторения, вопросительные интонации, художественно сопоставленные образы, эпитеты, мыслит метафорами.

Все эти характерные признаки и лежат в основе поэтика Ир. Абашидзе.

PHILOLOGY

Z. V. TSKHADAIA

SOME PECULIARITIES OF IR. ABASHIDZE'S POETICS

Summary

The paper analyzes the peculiarities of the poetics of Ir. Abashidze. In the 1930s the poet came out against the prevalent declarative-rhetoric style, and upheld the specificity of lyrics. At the time, landscape was his principal means for expressing the idea of a poem as well as for achieving a literary-emotional effect.

Qualitative changes are observable from the end of the 1950s. As a specific poetic device, he resorts to the alternation of synonymous words, reiterations, interrogative intonations, similes, epithets, metaphoric thinking. These specific features constitute the peculiarity of Ir. Abashidze's poetics.



ა. ტულუში

დემოტრე გურიელის მეფობის თარიღი

(წარმოადგინა აკადემიონმა ს. ჭიქიამ 17.10.1982)

ვახუშტი ბატონიშვილი თვის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერს, რომ დარეჯან დედოფლისა და მისი ქმრის, მეფე ვახტანგ ჭუპეშიაშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1668 წ., იმერელმა დიდებულებმა „მოიყანეს გურიელი დემეტრე და დასუეს მეფედ“ ([1], გვ. 839). აი, ამ ცნობას დღემდე შეცდომაში შეცყავს მკვლევარები დემეტრე გურიელის გმეფების თარიღის საკითხში. გამოკვლევებსა და საცნობარო ნაშრომებში დემეტრეს გამეფების თარიღიდ მითითებულია 1660, 1663/64 და 1668 წწ. [2—7]. მეტიც, ერთ-ერთ ნაშრომში დემეტრე გურიელის სამეფო ტახტზე ასვლის ორი სხვადასხვა თარიღია მითითებული — 1663 და 1668 წწ. [8].

ვახუშტისეულ თარიღს დემეტრე გურიელის იმერეთში გამეფებისა ეწინააღმდეგება თვითონ მეფე დემეტრეს მიერ ქაიხოსრო და პაატა წერეთლებისათვის ბოძებული წყალობის სიგელი, რომელსაც თარიღიდ უზის 1663 წ. [9] და მისმიერვე იმერეთს მეფობისას გაცემული მეორე სიგელი, რომელიც სემინ ჩხერიძის კათალიკოსობის ხანით, 1660—1666 წწ. თარიღდება (Sd-2935).

ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1643—1713 წწ.), რომელიც დემეტრეს მეფობის დროიდან სულ რაღაც ათიოდე წლის შემდეგ იყო საქართველოში (კერძოდ, სამეგრელოში), დაწვრილებით აღწერს მისი გამეფების ამბებს. შარდენის მიხედვით, მას შემდეგ რაც სიცოცხლეს გამოისალმეს ხსია ლაშხიშვილი, იმერელი დიდებულები განუდგნენ ჭაბუკ მეფე არჩილს, მათთან პირვერული ახალციხის ფაშა კი იმერეთში შემოიჭრა ლაშქრით. მეფე არჩილმა ეს ამბავი მამამისს, ქართლის მეფე ვახტანგ V (შავნავაშ) აცნობა. ეს უკანასკნელი ლაშქრით შეწევნას დაპირდა თვის ძეს, მაგრამ მას ახალციხის ფაშამ დასტრიო, ის ისე სწრაფად შევიდა იმერეთში, რომ არჩილმა ძლიერ მოსწრო გაქცევა. არჩილი მამას ეხლა თბილისში. რამდენიმე დღის შემდეგ ქართლის მეფეს შეატყობინეს, რომ ახალციხის ფაშამ ქუთაისში თავისი ციხიონი ჩაყენაო. ამან და იმანაც, რომ სულთნის მოთხოვნის გამო შავმა ვახტანგ V არჩილის იმერეთიდან გამოწვევა უბრძანა, ჩაშალა ქართლის მეფის მორიგი ლაშქრობა იმერეთში.

ახალციხის ფაშამ იმერეთის დიდებულები დაიბარა და ახალი მეფის ერთგულებაზე დააფიცა. „ეს იყო გურიის მთავრის ვაჟიშვილი, წმ. ბასილის ორდენის ბერი. მან გაიძრო ბერის ტანსაცმელი და გვირგვინი დაიდგა“ — წერს ვახუშტი [10].

მართალია ჟან შარდენი არ გვამცნობს სახელს იმერეთს გამეფებული გურიელისა, მაგრამ სამაგიეროდ გვაუწყებს, რომ ეს გურიელი ნაბერალი იყონ. ასეთი ვინმე კი ქართული წყაროების ერთხმად ჩვენებით დემეტრე გურიელი გახლდათ [11, 12].

1663 წ. არჩილს უკვე კახეთის მეფედ ვხედავთ. მაშასადამე, დემეტრე გურიელი 1663 წელს ვე, ან ამაზე აღრელა შეიძლებოდა იმერეთს გამეფებულიყო.

დემეტრე გურიელის გამეფებისა და ტახტიდან ჩამოგდების თარიღების დასაღენად ძვირფასი ცნობაა დაცული იმერეთში ამ ლროს მიმდინარე პოლოტიკური ბრძოლების ერთ-ერთი მთავარი მონაცილის, გენათელ ეპისკოპოს გედეონ ლორთქიფანიძის მიერ შედგენილ ქრონიკაში. ამ ქრონიკის მიხედვით მეფე ბაგრატ IV ტახტიდან ჩამოგდების (1660 წ. ივლისი) შემდეგ „სამს წელიწადს იმერეთი ოხერ და უმკვიდრო იქმნა. ზოგჯერ დადიანს გპყრა, ზოგჯერ ყიზილბაშთაგან, ზოგჯერ ურუმთაგან და ერთ წელიწადს გურიელიც მეფობდა და გ (ე. ი. მესამე — ა. ტ.) წელიწადს კათალიკოზმა ჩხეიძემ სვიმეონ და მისმა მამ სახლის სხუცესმა სენიამ და გენათელმა გედეონ დიდის ცდითა მოიყვანეს და გააბატონეს [მეფე ბაგრატ]“ [13]. როგორც ვხედავთ, ამ ქრისიკში გარკვევით წერია, რომ გურიელი გამეფდათ მას შემდეგ, რაც არჩილ მეფე „ყიზილბაშთაგანი“ წავიდა იმერეთიდან. ამასთან ნათლად ჩანს, რომ დემეტრე გურიელის მეფობით მთავრდება ის სამწლიანი ხანა, როგორც „იმერეთი ოხერ და უმკვიდრო“ იყო. ეს სამი წელიწადი კი 1660 წ. ივლისიდან აქეს ნაანგარიშევი გედეონ ლორთქიფანიძეს. მაშასადამე დემეტრე გურიელი 1663 წ. მართლაც მგდარი იმერეთის სამეფო ტახტზე, მაგრამ, გედეონ ლორთქიფანიძის ქრონიკის მიხედვით შესაძლებელი ხდება კიდევ უფრო დაზუსტება მისი ზეობის ხანისა. ამ წყაროს მიხედვით ბაგრატ IV იმერეთში მეორედ გამეფება 1663 წ. გიორგობისთვეში ანუ ნოემბერში მომხდარა ([13], გვ. 73). რაღაც გედეონ ლორთქიფანიძისავე ცნობით დემეტრე გურიელს ერთი წელიწადი უმეფია, მისი დამხობის აქ მოცემული თარილიდან უკუათვლით, გამეფების ზუსტ თარილსაც ვაღვენთ. ესაა 1662 წ. მიწურული.

ამ ორი თარილის დაღვენის შემდეგ შესაძლებელი ხდება კიდევ ორი სხვა თარილის დაზუსტება. თუკი დღემდე გიორგი გურიელის გურიის სამთავროში ტახტზე ასვლის თარილად 1664 წელი მიაჩნდათ ([6], გვ. 137). ახლა უკვე ეს თარილი 1662 წლის მიწურულით უნდა განისაზღვროს, რაღაც გიორგი გურიელი დემეტრე გურიელის დამხობის შემდეგ იქნა გამთავრებული. ცხადია, ასევე უნდა გადათარილდეს იმერეთიდან არჩილ მეფის გაქცევა-გაშვევა-არჩილის მიერ იმერეთის დატოვების თარილად 1662 წ. მიწურული უნდა მოვიჩნიოთ ნაცვლად 1663 წ.

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული

სახელმწიფო მუზეუმი

(შემოვიდა 30.12.1982)

ИСТОРИЯ

А. Г. ТУГУШИ

ДАТЫ ЦАРСТВОВАНИЯ ДЕМЕТРЕ ГУРИЕЛИ

Резюме

На основе критического анализа грузинских источников и сообщений французского путешественника Жана Шардена (1643—1713 гг.), установлены даты вступления на Имеретинский царский престол Демetre Гуриели (конец 1662 г.) и дата его свержения (ноябрь 1663 г.). С помощью этих же дат передатированы вступление на престол Гурийского княжества мтавари Гиорги Гуриели (конец 1662 г., вместо 1664 г.) и бегство царя Арчилы из Имерети (конец 1662 г., вместо 1663 г.).

A. G. TUGUSHI

DATES OF THE REIGN OF DEMETRE GURIELI

Summary

On the basis of a critical analysis of Georgian sources and the records of the French traveller Jean Chardin (1643-1713) the date of ascent of the throne of Imereti by Demetre Gurieli (end of 1662) and the date of his deposition (November 1663) have been established. Proceeding from the same dates, the date of ascent of the throne of the Principality of Guria by Giorgi Gurieli (end of 1662, instead of 1664), and the date of king Archil's departure from Imereti (end of 1662, instead of 1663) have been corrected.

ლიტერატურა — REFERENCES

1. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბილისი, 1973.
2. საქართველოს ისტორია, ლექსიკონი. თბილისი, 1973.
3. ს. კაკაბაძე. საქართველოს მოქლე ისტორია. ტფილისი,, 1920.
4. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბილისი, 1965.
5. Cyril Toumanoff. Manuel de généalogie et chronologie pour l'histoire de la Caucاسie chrétienne (Arménie-Géorgie-Albanie), 1976.
6. მ. სოსეგლია. მასალები საქართველოსა და კვეპისის ისტორიისათვის, ნაკვეთი 3. თბილისი, 1954.
7. თ. ტივაძე. საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს. შეობები ნახევარში. თბილისი, 1977.
8. გ. რებიციაშვილი. დასაცლეთ საქართველო XVII საუკუნეში. თბილისი, 1978.
9. შ. ბურჯანაძე. ისტორიული საბუთები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა. თბილისი, 1959.
10. ერნ შარდენის მოგზაურობა. თბილისი, 1975.
11. П. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Аджаре. СПб, 1878.
12. თ. ე თ რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები, ტ. II. ტფილისი, 1977.
13. მცირე ქრონიკები. ტექსტი გამოსცა, ზესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჭუმბერ ლიმელმა. თბილისი, 1968.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის В АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო პრეზიდი

1982 წ. 4 აპრილს გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრება, რომელზეც განხილულ იქნა მეთერმეტე ხუთწლედის მეორე წლის მეცნიერთა მუშაობის შედეგები და 1983 წლის ამოცანები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ.

შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს მეცნიერებათა აკადემიკოს ე. არეშიძის, ა. ბოჭორიშვილის, ი. ღოლიძის, ნ. კეცხოველის, ვ. მახალდიანის ხსოვნას.

კრების მონაწილეობის მოისმინეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლ. გორგილაძის მოხსენება „კარლ მარქსი და თანამედროვე ეპოქა“.

1982 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. სენიაშვილმა.

მოხსენებასა და გამოსულებში აღინიშნა, რომ აკადემიისა და მისი დაწესებულებების საქმიანობა 1982 წელს მიზნად ისახვდა სკკ გრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენურების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI და შემდგომი პლენურების გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

საანგარიშო პრიორული რესპუბლიკის მეცნიერებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საკვანძო სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტას. თავისი გამოკვლევებითა და ნამუშევრებით ისინი ხელს უწყობენ მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ულტიურული პროგრესის ტემპის დაჩქარებას, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობასა და ეკონომიკის ინტენსიური განვითარების გზაზე გადაყვანას, ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებას.

კრებაზე დაწევრილებით ილაპარაკეს ქართველ მეცნიერთა იმ გამოკვლევებზე, რომლებსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის საწარმოთა შრომით კოლექტივებთან ერთად შესრულებული სამუშაოების თემების ჩამოთვლა და გეოგრაფია მოწმობა, თუ რა მრავალმხრივა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა კოლექტივების შემოქმედებითი ძიება.

საქართველოს მეცნიერები მონაწილეობენ 24 საქავშირო და 24 რესპუბლიკური კომპლექსური პროგრამის რეალიზაციაში.

ფართოდ განვითარდა კვლევა სასურათო პროგრამის დარგში. ამას ითვალისწინებს აკადემიის 18 ინსტიტუტის კოლექტივების მეცადინეობა, რომლებიც 77 თემას ამუშავებენ.



კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა რესპუბლიკის მეცნიერების განვითარებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენურმის საქტაპ მნიშვნელობა, რომელმაც განსაზღვრა მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების მაგისტრალური ხაზი, დასახა მისი განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი. ბევრი მათგანი დღეისათვის უკვე რეალიზებულია, მაგრამ VI პლენურზე წამოტრილი მრავალი საკითხი ყველ კიდევ შორს არის პრატიკული რეალიზაციისაგან. კერძოდ, პლენურზე ითვა, რომ აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდა სამეცნიერო ანგარიშთ მომზადევე ორგანიზაციები, რომლებიც პლენურისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და სხვა ტექნიკის შექმნისათვის იმუშავებენ. მისი მომსახურებით სარგებლობა შეეძლებათ არა მარტო მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს, არამედ რესპუბლიკის სხვა სამეცნიერო დაწესებულებებსაც.

კრებაზე აღინიშნა, რომ დღეს დიდი მეცნიერული მიღწევები, როგორც წესი, კოლეგტური შრომის შედეგია. ეს იმას ნიშნავს, რომ სამეცნიერო კოლეგტივებს კომპეტენტურად, პროფესიულ დონეზე უნდა მართავდნენ. ამებად განსაკუთრებით აქტუალურია მეცნიერ-ორგანიზატორის აღზრდის პროცესი. მაგრამ აქ სერიოზული ნაკლოვანებანი არსებობს. ამას მოწმობს ზოგაერთ სამეცნიერო დაწესებულებაში შექმნილი არაგანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც ხელს უშლის შემოქმედებით სამეცნიერო მოლგაწეობას. ამაში უწინარეს ყოვლისა დამაშავეა დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელსაც პერსონალური პასუხისმგებლობა აკისრია კოლეგტივში შექმნილი მდგომარეობისათვის, თთოეული თანამშრომელის მოქალაქეობრივი პოზიციისათვის, აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

მეცნიერებაში არსებული სინელექტი, ხაზგასმით აღნიშნავდნენ კამათის მონაწილენი, შეიძლება დაგვლითთ, თუ განუხერლად ვიხელმძღვანელებთ იმ პრინციპული დებულებებით, რომლებიც სკპ ცენტრალური კომიტეტის ვენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა ჩამოყალიბა სკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენურზე წარმოთქმულ სიტყვაში, შემდგომ გამოსვლებში. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დისციპლინის განმტკიცებასა და შრომის ორგანიზაციის მოგვარებას, საჭიროა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებისათვის შევიმუშაოთ დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების ერთიანი, მწყობრი სისტემა, რომელიც მოწილად შეერწყმის სამეცნიერო მუშაობის თავისებურებებს და საშუალებას მოგვცემს ერთდროულად გავითვალისწინოთ ზოგიერთი ინსტიტუტის მუშაობის სპეციფიკური პირობები.

წლევანდელი წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გეორგიევკის ტრაქტატის 200 წლისთვის ღირსეული შეხედრა, დაგეგმილია შესაბამისი მეცნიერული პუბლიკაციები, სესიები, მათ შორის — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გერთიანებული სამეცნიერო სესია. მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება, თქვეს ორატორებმა, საჭიროა განვახორციელოთ მაღალ მეცნიერულ და ორგანიზაციულ დონეზე, რაღაც ისნი უნდა გახდეს ქართველი ხალხის ისტორიული ბედისათვის გეორგიევსკში ხელმოწერილი დოკუმენტის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მქაფიო ილუსტრაცია.

კრებამ ყურადღება გამახვილა სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. კერძოდ, ლინიშნა, რომ საჭიროა დაჩქარდეს გამოკვლევათა შედეგების წარმოებაში დანერგვა, უფრო ზუსტად იქნეს კოორ-



დინირებული მეცნიერული წამუშევრები, გაძლიერდეს ქვეყნის სასურათო პროგრამის რეალიზაციის მეცნიერული უზრუნველყოფა. რესპუბლიკის სამეცნიერო ქვეგანაყოფების უპირველეს ამოცანათა შორის დაასახელეს ფუნდამენტური გამოკვლევების, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის საფუძვლის, გარემონტის საჭიროება.

გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯილდოების გადაცემა. ლიტერატურათმცოდნების დარგში პ. კეკელიძის სახელობის პრემია გადაეცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ა. ბარამიძეს მეცნიერული ნაშრომისათვის „ძველი ქართული მწერლობის პრობლემები“; ს. ჭანაშიას სახელობის პრემია — ისტორიის მეცნიერებათა ღოქტორს ლ. ჭილაშვილს მეცნიერული ნაშრომისათვის „კახეთის ქალაქები (XIV—XVII საუკუნეებში)“; გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია ტექნიკის დარგში — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს გ. მუსხელიშვილს მონოგრაფიისათვის „წყობურა სეეტებში სტაბილური იზოტოპების კონცენტრირების პროცესების ავტომატური მართვის სისტემები, მოწყობილობანი და ელემენტები“.

რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებების ახალგაზრდა მეცნიერთა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის 1982 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მედლები და პრემიები გადაეცათ ი. ჭავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომელს ნ. ვალიანს ნამუშევრისათვის „დასავლეთის ცივილიზაციის“. ბურუუაზიული კონცეფციების კრიტიკა“; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტს ვ. ქართველიშვილს მეცნიერული ნამუშევრისათვის „თოვლის ფრაქციონირებისა და დემინერალიზაციის მექანიზმის შესახებ მისი ღნობისას“; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტს თ. ლომიანიძეს მეცნიერული ნამუშევრისათვის „მონამინოქსიდაზას ზოგიერთი ინტიბიტორის გავლენა ძილ-ღვიძილის ციფლის რეაციაციაზე“; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოლების ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტს მ. დიასამიძეს მეცნიერული ნამუშევრისათვის „ლეგენდები ორბელთა და მამიკონიანთა საგვარეულოების წარმომავლობის შესახებ“.

შლიურ კრებაზე წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამ. გ. ენუქიძემ. მან მაღალი შეფასება მისცა ქართველ მეცნიერთა მოღვაწეობას და დაწვრილებით ილაპარაკა გადაუჭრელ პრობლემებზე, თქვა, რომ საჭიროა უზრუნველყოთ პრაქტიკასთან, კომუნისტურ მშენებლობასთან მეცნიერების კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი.

კრებამ მიიღო დადგენილება, დაამტკიცა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა დირექტორები.

ОБЩИЕ СОБРАНИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

4 апреля 1983 г. состоялось годичное общее собрание АН ГССР, на котором были рассмотрены итоги работы ученых во втором году одиннадцатой пятилетки и задачи на 1983 год.

Собрание открыл вступительным словом президент Академии наук Грузии Е. К. Харадзе.

Минутой молчания почтили собравшиеся память академиков Академии наук республики Х. И. Арешидзе, А. Т. Бочоришвили, И. С. Дolidze, Н. Н. Кецховели, В. В. Махалдiani.



Участники собрания заслушали доклад члена-корреспондента Академии наук республики Л. Е. Горгиладзе «Карл Маркс и современная эпоха».

С докладом о деятельности Академии наук Грузинской ССР в 1982 г. выступил исполняющий обязанности академика-секретаря Академии наук Грузии, член-корреспондент Академии наук республики Э. А. Сехниашвили.

В докладе и выступлениях отмечалось, что деятельность Академии и ее учреждений в 1982 г. была направлена на осуществление решений XXVI съезда КПСС и XXVI съезда Компартии Грузии, майского и ноябрьского (1982 г.) Пленумов ЦК КПСС, VI и последующих пленумов ЦК КП Грузии.

Для отчетного периода характерно усиление внимания учёных республики к решению ключевых народнохозяйственных проблем. Своими исследованиями и разработками они способствуют ускорению темпов научно-технического и социально-культурного прогресса, переводу народного хозяйства и экономики республики на путь интенсивного развития, осуществлению единой научно-технической политики.

На собрании подробно говорилось об исследованиях грузинских ученых, имеющих практическое значение. Только перечень тем и география работ, ведущихся совместно с трудовыми коллективами предприятий промышленности, строительства, транспорта, сельского хозяйства республики, свидетельствует о разносторонности творческих поисков коллективов научных учреждений Академии.

Ученые Грузии участвуют в реализации 24 союзных и 24 республиканских комплексных программ.

Широкое развитие получили исследования по Продовольственной программе. На это нацелены усилия коллективов 18 академических институтов, занятых работой над 77 темами.

На собрании подчеркивалось важное, этапное значение VI пленума ЦК Компартии Грузии для развития науки республики. Пленум определил магистральную линию научно-технического развития, наметил конкретные меры для ее проведения. Многие из них сегодня уже реализованы. Однако целый ряд вопросов, выдвинутых на VI пленуме, еще далек от практической реализации. В частности, на пленуме говорилось о формировании в системе Академии организаций, работающих на хозрасчете. Они будут заняты созданием приборов для исследований и другой техники. Ее услугами могли бы пользоваться не только институты Академии наук, но и другие научные учреждения республики.

